140
1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3
1968



# ნაკადული

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაქსიმ გორკი

მხატვარი გ. ფოცხიშვილი.

# ქართველი ხალხის დიდი მეგობარი

## მაქსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავი

დიდი რუსი მწერლის მაქსიმ გორკის ცხოვრება და შემოქმედება განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოსთან. რევოლუციის მგზნებარე მომღერალი თავის მეორე სამშობლოდ საქართველოს თვლიდა და მუდამ განსაკუთრებული სიყვარულით წერდა მის ბუნებასა და ხალხზე.

მაქსიმ გორკი პირველად 1891 წლის 1 ნოემბერს ჩამოვიდა საქართველოში, სადაც თითქმის ერთი წელი დაჰყო. თბილისში, საქართველოში გატარებული ეს ერთი წელი მ. გორკის ცხოვრებაში გარდატეხის პერიოდად ითვლება. აქ დაირწა პროლეტარიატის დიდი მხატვრის შემოქმედების აკვანი. აქ დაიწერა და გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნდა მ. გორკის პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა"; თბილისში დაწერა მ. გორკიმ ბრწყინვალე პოეტური ქმნილება „ქალიშვილი და სიკვდილი"; აქვე შექმნა მან რამდენიმე სხვა მოთხრობაც, რომლებიც მოგვიანებით გამოქვეყნდა.

საქართველოში გატარებულმა ერთმა წელიწადმა მაქსიმ გორკის იდეურად ჩამოყალიბებაზეც გავლენა მოახდინა. აქ მიღებულმა შთაბეჭდილებებმა ბევრად განსაზღვრა დიდი მწერლის მსოფლმხედველობის თავისებურებაც. მართალია, მ. გორკი ადრეც შეხვედრია მუშებს, მათთან კონტაქტი დაუმყარებია, მაგრამ რევოლუციური ტრადიციების მქონე, ნამდვილად მოწინავე პროლეტარიატს იგი პირველად თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში შეხვდა, სადაც თვითონ ჯერ უბრალო მუშად მოეწყო, შემდეგ კი აღმრიცხველად მუშაობდა. თბილისში მ. გორკი მთელი გატაცებით ჩაება საზოგადოებრივ მოძრაობაში, ხშირად გამოდიოდა რევოლუციური იდეების პროპაგანდისტად. კრასნოგორსკის ქუჩაზე (ამჟამად მ. გორკის ქუჩა) მ. გორკის ინიციატივით ჩამოყალიბდა „კომუნა". რომლის საღამოებზეც დიდძალი ხალხი იყრიდა თავს. მ. გორკი მოხსენებებით გამოდიოდა ქალაქის სხვადასხვა უბანში, მისი მსმენელი აუდიტორია ძირითადად მუშა ახალგაზრდობა იყო. მ. გორკი დაუახლოვდა ჩუღურეთის არალეგალურ წრეს. ამ წრის ხელმძღვანელის ს. ლეჟავას სახე მ. გორკის სამუდამოდ დაახსომდა. მ. გორკის მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვეს ე. ნინოშვილმა, ძმებმა გოლა და შიო ჩიტაძეებმა, ი. ჯაბადარმა, მ. ცხაკაიამ, ფ. მახარაძემ, ს. ალილუევმა და ბევრმა სხვამ. მ. გორკი თბილისში დაუახლოვდა აქ გადმოსახლებულ ხალხოსნებს. მისი ადრინდელი შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუში — მოთხრობა „შეცდომა" მწერალს მათთან ურთიერთობით მიღებულმა შთაბეჭდილებებმა შთააგონა. ამ მოთხრობის მთავარი გმირის კრავცოვის პროტოტიპად მ. გორკიმ გოლა ჩიტაძის სახე გამოიყენა.

მ. გორკიმ ბევრი იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: იყო თელავში, ხაშურში, ქუთაისში, სოხუმში, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქალაქებსა და სოფლებში. ამ მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებები მწერლის შემოქმედებითს ფანტაზიას თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე ასაზრდოებდა. საქართველოს წარმტაცი ბუნება, ქართველი ხალხის ცხოვრება, მისი ზნე-ჩვეულებები მ. გორკის ბევრ ნაწარმოებში აისახა. ეს ნაწარმოებებია: „შურისძიება", „ჩემი თანამგზავრი", „შეცდომა", „ყაჩაღები კავკასიაში", „სილამაზე", „კალინინი", „პირ-

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური ჟურნალი

პიონერი

3 · მარტი · 1968

გამოდის 42-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ სიყვარულზე,“ „ადამიანის დაბადება“ და სხვ. დიდ მწერალს არასოდეს დავიწყებია საქართველოში 1891-1892 წლებში გატარებული დღეები, ამ დღეებს ყოველთვის აღფრთოვანებით იგონებდა. „ულამაზესი დღესასწაულია, — წერდა მ. გორკი 1931 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის იუბილეს გამო,—რომელსაც მინდოდა დავსწრებოდი უბრალო მაყურებლად და კიდევ ერთხელ მომეგონებინა საქართველო, ისეთი, როგორიც მინახავს ის ორმოცი წლის წინათ, მომეგონებინა თბილისი— ქალაქი, სადაც დავიწყე ლიტერატურული მუშაობა.

არასოდეს არ მავიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე, რომელზეც აგერ უკვე მეოთხე ათეული წელია მივდივარ... ამ ქვეყნის ულამაზესმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სიფაქიზემ—სწორედ ამ ორმა ძალამ მომცა ბიძგი მაწანწალიდან ლიტერატორი გავმხდარიყავი“.

საქართველოში ქართველი ხალხის გულწრფელი მეგობრის მეორედ ჩამოსვლა მოულოდნელი იყო. არც გამომგზავრების მიზეზი ყოფილა ჩვეულებრივი—მწერალი ეტაპით ჩამოიყვანეს თბილისში. აქ დააპატიმრეს მ. გორკის თანამებრძოლი ფ. აფანასევი. ჟანდარმერია თავგამოდებით ეძებდა რაიმე ხელმოსაკიდს, რათა მ. გორკიც ჩაეთრიათ დაპატიმრებულთა საქმეში. მართალია, ტახტის ერთგულ დარაჯებს რაიმე ფაქტიური დასაყრდენი არ აღმოაჩნდათ, მაგრამ მ. გორკი მაინც დააპატიმრეს და 1898 წლის 11 მაისს თბილისში ჩამოიყვანეს. ამ დროისათვის უკვე დასნეულებული მწერალი მეტეხის ციხეში მოათავსეს. ჟანდარმ კონისკის მონდომებული ცდა, რომ როგორმე დაემტკიცებინა მ. გორკის „დანაშაული“, უშედეგო აღმოჩნდა. თვითონ გორკის, ისევე, როგორც მის მეგობრებს, ფრთხილად ეჭირა თავი. კონისკი გრძნობდა, რომ აფანასევისა და სხვა დაპატიმრებულთა წრეში მ. გორკის მთავარი ადგილი ეჭირა, მაგრამ სათანადო საბუთებს ვერ მოუყარა თავი და იძულებული გახდა იგი პატიმრობიდან გაენთავისუფლებინა, განსაკუთრებული ზედამხედველობის დაწესებით. მაგრამ მ. გორკის ავტორიტეტის ზრდა ვერაფერმა ვერ შეაფერხა, — მწერალი ცნობილი ხდებოდა მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში.

1900 წლის ზაფხულში მ. გორკი, ა. ჩეხოვთან, მხატვარ ვ. ვასნეცოვთან და ა. ალექსინთან ერთად, მესამედ ჩამოდის საქართველოში. სტუმრებმა ორ კვირაზე მეტი დაჰყვეს ჩვენს ქვეყანაში, დაათვალიერეს ისტორიული ძეგლები, თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები, იყვნენ მცხეთაში. მ. გორკი შეხვდა თავის ძველ ნაცნობებსა და მეგობრებს, ახალი ნაცნობებიც შეიძინა, აკვირდებოდა და სწავლობდა ჩვენი ხალხის ცხოვრებას.

გავიდა წლები და, მ. გორკი ქართველ მკითხველთა სათაყვანებელი მწერალი გახდა. მისადმი სიყვარული ზღაპრული სისწრაფით გაიზარდა მთელ საქართველოში. მწერალსაც გული კვლავ აქეთკენ მოუწევდა.

1903 წლის ზაფხულში მ. გორკი მეოთხედ ჩამოვიდა საქართველოში. მაშინ მას მეუღლე ე. პეშკოვა, გამომცემლობა „ზნანიეს“ დირექტორი კ. პიეტნიცკი და სხვები ახლდნენ თან. ქართველი საზოგადოება მ. გორკის ყველგან აღტაცებით შეხვდა. იმდროინდელმა ადგილობრივმა პრესამ სათანადოდ გააშუქა მწერლის ჩამოსვლა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა.

მ. გორკიმ თითქმის ერთი თვე გაატარა საქართველოში. ამ დროს იგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ეროვნული საკითხისადმი, მატერიალურად ეხმარებოდა, როგორც სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტს, ისე მის ცალკეულ წევრებსაც. ესწრებოდა არალეგალურ კრებებს, ნახულობდა ძველ მეგობრებს. 24 და 25 ივნისს მ. გორკი დაესწრო თბილისში საგანგებოდ მის პატივსაცემად გამართულ წარმოდგენას. მწერალს უჩვენეს პირველად საქართველოში დადგმული მისი პიესა „ფსკერზე“, რომელმაც საზოგადოების დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ამის შემდეგ მწერალი ბათუმს, სოხუმს, ბორჯომს, აბასთუმანს, ქუთაისს და რაჭას ეწვია, მერე კი, 16 ივლისს, მამისონის უღელტეხილის გავლით, ჩრდილოეთ კავკასიაში ჩავიდა. მ. გორკიმ, რომელიც დიდად იყო დაინტერესებული საქართველოს კულტურული ცხოვრებით, განაახლა ადრე დაწყებული მოლაპარაკება ქართული მხატვრული ლიტერატურის რუსულად თარგმნისა და გამოცემის თაობაზე.

ქართული კულტურისადმი დიდი მწერლის ასეთი ყურადღება მოწინავე საზოგადოებამ სათანადოდ დააფასა. მ. გორკის სიყვარულს ქართველმა ხალხმა სიყვარულითვე უპასუხა. საკმარისია აღვნიშნოთ ის შეუნელებელი ინტერესი, რომელსაც ქართველი მკითხველი, მ. გორკის ნაწარმოებებისადმი იჩენდა. როგორც კი გამოქვეყნდებოდა დიდი მწერლის ესა თუ ის მოთხრობა, იგი მაშინვე ქართულად ითარგმნებოდა ხოლმე და ჩვენი მკითხველიც აღფრთოვანებით ხვდებოდა. 1902 წელს ქართულ ენაზე ზედიზედ გამოვიდა მ. გორკის მოთხრობების ორი კრებული. პერიოდულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა მწერლის დიდტანიან ნაწარმოებთა თარგმანები („თომა გორდეევი“ და „სამნი“). ქართული პროგრესული კრიტიკა მ. გორკის ცხოვრებისა და შემოქმედების ყოველ ახალ მოვლენას დაუყოვნებლივ გამოეხმაურებოდა ხოლმე. აღსანიშნავია, რომ იმდროინდელმა ქართულმა კრიტიკამ ძირითადად სწორად შეაფასა მ. გორკის შემოქმედება. ქართველმა კრიტიკოსებმა საუკეთესო შეფასება მისცეს გორკის ნაწარმოებთა ოპტიმისტურ ჟღერადობას, საბრძოლო პათოსს, მისი პუბლიცისტიკის მომაკვდინებელ ძალას...

1905 წლის ოქტომბერში რსდმპ მოსკოვის კომიტეტის საგანგებო დადგენილებით მ. გორკისა და სხვა გამოჩენილი მოღვაწეების დასაცავად შეიარაღებული მებრძოლი რაზმები გამოიყო, რომლებსაც შავრაზმელთა მოულოდნელი თავდასხმისაგან რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელების დაცვა ევალებოდათ. მ. გორკისა და მისი ბინის დაცვის საპატიო მოვალეობა ქართველ რაზმელებს დაეკისრათ. მათ ვასო არაიძე მეთაურობდა. ქართველი რაზმელები დიდი მწერლის ბინას თითქმის ერთი თვე იცავდნენ დარბევისაგან. მ. გორკი დაუახლოვდა ქართველ რაზმელებს და მათთან ურთიერთობა შემდგომშიაც არ გაუწყვეტია.

როგორც ცნობილია, მ. გორკი იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და, როგორც პოლიტიკურ ემიგრანტს, საზღვარგარეთ ეცხოვრა. იტალიაში მყოფი მწერალი არ ივიწყებდა ქართულ მხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მ. გორკი (ფრაგმენტი)  მოქანდაკე ვ. მუხინა.

ტვრულ ნაწარმოებთა კრებულის რუსულად გამოცემას. მასთან მიმოწერა ჰქონდათ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს.

მ. გორკის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც მოუხდა სამშობლოსგან მოშორება, მაგრამ ამჯერად ამის მიზეზი მძიმე ავადმყოფობა იყო. ვ. ი. ლენინის რჩევით, მ. გორკი 1921 წელს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. სამშობლოში დაბრუნებულმა მწერალმა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში იმოგზაურა და უშუალოდ განიცადა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მანამდე წარმოუდგენელი პათოსი. ბუნებრივია, რომ მ. გორ-იმ, ხანგრძლივი შესვენების შემ-ეგ, თავისი პოეტური სამშობ-ლოც ინახულა. დიდ მწერალს საქართველოში განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ. გორკიც დაუმალავი მღელვარებით და აღტაცებით აღნიშნავდა იმ დიდ სითბოსა და სიყვარულს, რაც ქართველმა ხალხმა მის მიმართ გამოავლინა. მწერალმა დაათვალიერა თბილისის ახალი მშენებლობები, ღირსშესანიშნავი, ისტორიული ადგილები, იყო ზაჰესის მშენებლობაზე, რევოლუციის მუზეუმში, კოჯრის საბავშვო სახლში და სხვაგან. იგი საგანგებოდ შეხვდა ქართველ მწერლებს და მათს წინაშე რამდენჯერმე სიტყვაც წარმოთქვა. ინტერნაციონალიზმის დაუღალავმა მქადაგებელმა ქართველ მწერალთა ყურადღება კულტურული ძალების მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობაზე მიაპყრო. მან ჩვენს ლიტერატორებს მოუწოდა, თავიანთი შემოქმედებითი პროდუქცია, რუსულ ენაზე თარგმნით, ფართო მკითხველთათვის მისაწვდომი გაეხადათ. ასევე, ქართველი მკითხველებისათვის გაეცნოთ მსოფლიო და რუსი კლასიკოსების შედევრები, თანამედროვე მწერალთა საუკეთესო ნიმუშები.

1928 წლის 27 ივნისს მ. გორკი თბილისში შეხვდა კორესპონდენტებს. მათთან საუბარში იგი იმდროისათვის მრავალ საინტერესო და აქტუალურ პრობლემას შეეხო, განმარტა ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურული მშენებლობის საკითხები.

განახლებულ სამშობლოში მოგზაურობით მიღებული მდიდარი შთაბეჭდილებები მწერალმა მხატვრულად განაზოგადა ნარკვევში: „საბჭოების კავშირში".

1929 წლის ზაფხულში მ. გორკი მეექვსედ და უკანასკნელად ეწვია საქართველოს. მართალია, ამჯერად მან მხოლოდ ერთი დღე დაჰყო თბილისში, მაგრამ მაინც მოასწრო ქართველ მწერლებთან შეხვედრა და ხანგრძლივი საუბარი: მან მ. ორახელაშვილთან მოლაპარაკება აწარმოა საქართველოს მიღწევათა პროპაგანდის ორგანიზაციის თაობაზე. იყო საქართველოს მუზეუმებში, დაათვალიერა ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები. მ. გორკი შემდეგშიაც შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ქართველი ხალხის სულიერ ზრდას. მას მუდამ ახარებდა უძველესი კულტურის მქონე ჩვენი რესპუბლიკის ახალი წარმატებები და განუხრელი წინსვლა დიდი მომავლის გზაზე.

ბივი გვენეტაძე



ბისაკენ. — აი რას უნდა ვეუბნებოდეთ ბავშვს, აი რა უნდა იცოდეს მან, უპირველეს ყოვლისა.

კულტურის ისტორია ყველაზე მეტად შესანიშნავი და გონებისა და სულის გამაკეთილშობილებელი ზღაპარია ყველა იმ ზღაპარსა და ლეგენდას შორის, ხალხს რომ შეუქმნია.

პატარა ადამიანმა ცხოვრებისადმი შეგნებული დამოკიდებულების პირველი დღეებიდანვე თანდათანობით უნდა გაიგოს ყველაფერი, რაც კი მანამდე შეუქმნიათ ადამიანთა აურაცხელ თაობებს; ამას რომ გაიგებს, იგი მიხვდება, რომ ყველაფერი, რაც მის მოსვლამდე შექმნილა, მისთვის იქმნებოდა.

გულწრფელად მოვუთხროთ ბავშვებს წარსულის დიდი ზღაპარი; მოვუთხროთ ჩვენი წვალებისა თუ გამარჯვებათა, შეცდომებისა თუ დამარცხებათა ამბები, ჩვენი იმედები — მოვუთხროთ ყველაფერი, რაც აწვალებდათ და ახარებდათ ჩვენს წინაპრებს, რაც ჩვენც გვაწვალებს და რაც სიმხნევეს გვინერგავს გულში.

ადამიანი პატივს უნდა სცემდეს წინა თაობათა შრომას. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება კულტურის განუწყვეტელი განვითარება და ცხოვრების ახალი, უფრო თავისუფალი, უფრო გონიერი ფორმების შექმნისათვის საერთო-საკაცობრიო მუშაობის მემკვიდრეობითობა.

„წარსული აღსავსეა შეცდომებით“. — საფუძვლიანად და ხშირად გვეუბნებიან ხოლმე. მაგრამ ამ ძველ სიტყვებს ასევე ძველი და ჩინებული საწინააღმდეგო გამოთქმა უპირისპირდება: „მხოლოდ ის არ ცდება, ვინც არაფერს აკეთებს“.

შეცდომები უდიდესი ტანჯვა-წვალების ფასად უჯდებოდა კაცობრიობას, ადამიანის წამება, მისი შემოქმედებითი ტანჯვა კი პატივისცემას მოითხოვს ჩვენგან და ჩვენი შვილებისაგან. ბავშვებს შეუძლიათ ამის გა-

**მაქსიმ გორკი**

**წერილი ოჯახური აღზრდის საკითხებზე ბრიუსელში მოწვეული მესამე საერთაშორისო კონგრესისადმი**

# ბავშვების

მე არც ისე კომპეტენტური გახლავართ პედაგოგიკის საკითხებში, რომ ჩემს თავს უფლება მივცე ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრებებით შემოვიჭრე სპეციალისტთა წრეში. როგორც ვიცი, ბევრმა მათგანმა აღზრდის დიდ საქმეს მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა და სავსებით დამსახურებულად დიდი ავტორიტეტიც მოიხვეჭა.

მაგრამ ყველასავით მეც ვიყავი ბავშვი. ძალიან მიყვარს ბავშვები, ბევრს ვფიქრობ მათზე და მზადავარ მოკლედ მოგახსენოთ ჩემი აზრი იმ საგანზე, თუ რა უნდა იყოს — როგორც მე — პროფანს მგონია — აღზრდის საფუძველი.

კაცობრიობა ერთი მთლიანი, საერთაშორისო ოჯახია, რომელსაც სულ უფრო და უფრო აერთიანებს მისი ყველა წევრის საერთო მისწრაფება კეთილდღეო-

გება: აზიარეთ ბავშვები საერთო საკაცობრიოს, რომ შეძლონ თაობათა წმიდა შრომის დაფასება და სიყვარული.

ადამიანები ბავშვობიდან უნდა მივაჩვიოთ შეგნებული სიცრუისა და მცდარი დასკვნის განსხვავებას: ძალიან ცოტა რომ გვჯერა ერთმანეთისა და საკმაო პატივისცემით რომ არ ვეკიდებით ერთმანეთს, ყოველთვის გამოვყოფთ მას, რაც ამტყუნებს ადამიანსა და სათანადოდ ვერ ვხედავთ, რაც ამართლებს მას. ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობთ ცუდსა და ბნელ მხარეებს და იმდენად არ ვებრძვით მათ, რამდენადაც გვეშინია მათი. — აი რატომ არის ეს ცუდი და ბნელი მხარეები ასე ბევრი და რატომ ასე ბატონობს ცუდი ჩვენზე!

ბავშვები აუცილებლად უნდა დავიცვათ ამ სამწუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგო, იცოდე და გწამდეს, რომ შენ ყველაზე საჭირო ადამიანი ხარ დედამიწაზე... შენ, დაიწყე ნამდვილად ახალი ქვეყნის შენება. ისწავლე და ასწავლე!

იმისათვის, რომ კარგად იცოდე ყველაფერი, რაც ამჟამად არის, უნდა იცოდე ყველაფერი, რაც იყო, და ყველაფერი, რაც უნდა იქნეს.

...შვილებმა მამებზე მეტიც უნდა იცოდნენ და უფრო ღრმადაც.

**მაქსიმ გორკი**

ხარო შეცდომისაგან, რომელიც გვღრღნის.

საჭიროა ბავშვი მივაჩვიოთ იმას, რომ თავს სამყაროს და მისი ყველა სიკეთის ბატონ-პატრონად გრძნობდეს. ჩვენ თვითონ უნდა ვამაყობდეთ საუკუნეთა მემკვიდრეობით, თვითონ უნდა შევიყვაროთ ჩვენი წინაპრების საარაკო შრომა. მათი ნაღვაწით ავსებულია ჩვენი მუზეუმები, კულტურულ მონაპოვართა საგანძურები, ჩვენი ქალაქები. წარსულით სიამაყე და წარსულის სიყვარული კულტურის ისტორიის ცოდნას, კაცობრიობის ცხოვრების ცოდნას იძლევა. ბავშვებს — მსოფლიოს მთელი შრომის მემკვიდრეებს გულში ჩაუნერგეთ წარსულის სიყვარული, წარსულით სიამაყე.

დაე, იცოდეს ბავშვმა, რომ მისი სათამაშოდან

# ზღაპარი

ღმერთის ცნებამდე და პრომეთედან საყოველთაო ძმობის იდეამდე, ყველაფერი ამ დედამიწაზე, მისი წინაპრების შექმნილია, ყველაფერი უდიდეს შრომად, ძალ-ღონის უდიდეს დაძაბვად დაჯდა. ვიმეორებ, დაე, ისწავლოს ბავშვმა გარდასულ თაობათა, თავისი წინაპართა შრომის პატივისცემა.

მან უნდა იცოდეს თავისი ოჯახის, თავისი სამშობლოს და თავისი მიწა-წყლის ცხოვრება. მისი მიწა-წყალი მთელი დედამიწაა! დედამიწა ბავშვებს, ყოველთვის ბავშვებს ეკუთვნით! ჩვენ, მოქანცულნი, ვკვდებით; ჩვენს ადგილას კაშკაშა ცეცხლად ისინი ანთია — ცხოვრების შემოქმედების ალი არ ქრება მათი წყალობით; მე ვიტყოდი, რომ მხოლოდ ბავშვები არიან უკვდავნი!

კიდევ ერთხელ და მეათასედ ვიმეორებ: რაც მეტად იცნობს ადამიანი წარსულს, მით უფრო ადამიანია იგი! არაფერი ისე არ აკეთილშობილებს, ამსუბუქებს და ამხნევებს სულს, როგორც კაცობრიობის დიადი ისტორიის, გასულ საუკუნეებში გაწეული შრომის ცოდნა.

რასაკვირველია, მე ახალი არაფერი მითქვამს, აქ მხოლოდ გამოთქმულია პიროვნებისადმი და თვითეულის შრომისადმი საერთო პატივისცემის საფუძველზე ადამიანთა გაერთიანების შესაძლებლობის ძველი რწმენა, რწმენა იმისა, რომ გაიმარჯვებს გონება, გაიმარჯვებს ყოველივე, რაც ნამდვილად ადამიანურია რაც ჩვენს მიერ — ადამიანთა მიერ — არის შექმნილი და რითაც ვამაყობთ.

— გიყვარდეს მოყვასი შენი, — უთქვამთ ჩვენთვის.

— რისთვის? — კითხულობენ სკეპტიკოსები და პესიმისტები. უნდა ვუპასუხოთ:

— საუკუნეებში გაწეული დიდი შრომისათვის, იმ შრომისათვის, რომელიც განუწყვეტლივ, დღითიდღე სრულყოფილი ხდება, კეთილისაკენ იმ განუხრელი მისწრაფებისათვის, რომელიც ყოველ ჩვენთაგანში ცოცხლობს და ერთხელაც იქნება, გულკეთილ, ძლიერ, ბედნიერ ადამიანებად აქცევს ჩვენს შთამომავლებს!

ადამიანი — ყოველი ჩვენთაგანი — წარსულის წინამძღვრების შედეგი და მომავლის აუცილებელი წინამძღვარია; ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ. მე არ მეგულება სხვა სახელი, რომლის წარმოთქმაც შეიძლებოდეს უფრო დიდი სიამაყითა და სიყვარულით, ვიდრე ადამიანის სახელისა! მე მგონია, ეს აუცილებლად უნდა ჩავუნერგოთ ბავშვებს.

გზა ბავშვებს — კაცობრიობის მთელი გრანდიოზული მუშაობის მემკვიდრეებს!

წარუძღვით მათ მომავლისაკენ, ასწავლეთ წარსულის პატივისცემა და დაფასება. — ასე შევქმნით შემოქმედებითი ენერგიის განუწყვეტელ ტალღას.

ვასწავლოთ მათ შრომის პატივისცემა, წარსულის ტანჯვა-წვალებათა განცდა, შეცდომების გაგება და მათი პატიება.

იბრძოლეთ ინტერნაციონალური ოჯახური ალზრდისათვის. ამ ბრძოლის ყველა მონაწილეს ვუსურვებ სულის მხნეობას და იმ ნათელი მომავლის რწმენას, რომელსაც ჩვენ ყველანი შეძლებისამებრ ვემსახურებით, და რომელიც სიხარულით, ბედნიერებითა და სიყვარულით აავსებს ჩვენი ბავშვების ცხოვრებას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პალიასტომის სიზმარ-ლანდი

ლევან გოთუა

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე

მწერალმა ლევან გოთუამ დაამთავრა ახალი რომანის „მითრიდატეს“ I წიგნი. რომანი ეძღვნება ძველი წელთაღრიცხვის I-ელ საუკუნეში რომაელი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველი ტომების ბრძოლას, რომელსაც ისინი სახელოვანი მითრიდატე კონტოელის მოთავეობით ეწეოდნენ. ამ ნაწყვეტში ასახულია ახალგაზრდა მითრიდატეს კოლხეთში მოსვლა, კონტოდან გამოქცევის ჟამს.

მთვარემ დაღამებას დაასწრო. ასე რომ ფარულ ნაოსნებს არც გასჭირვებიათ გზის სწორი კვლევა. ნაპირის კონცხზე დიდვარჯიანი ხე, ტყის თავზე, გამოყოფილად ჩანდა.

— დედაბერა ჩანს! აქ უნდა მივადგეთ ნაპირს! — გეზი უპირდაპირა მუხაშავრამ.

სულ ახლო რომ მიცურდნენ, ეტიკმა ნავი არ შეაჩერა, ვიდრე დიდი მუხის ჩრდილი არ დაწვა წყალზე. მაშინ კი სწორკუთხოვნად მოაბრუნა და უეცრად ჩრდილის სიბნელეში შეაგდო ნავი.

ჩრდილში ახალი მდინარება იგრძნო მითრიდატე ჭაბუკმა.

— მდინარეში ვართ?

— ორში ერთად... არა, სამში — მალთაყვაში, კაპარჭაში... დედაბერა კი მდინარეც არის და მუხაც! წყალსაძრომიც აქ არის... ამ მუხის ძირებში უნდა გავძვრეთ. ეს საძრომელა უცხომ არავინ იცის — აქ არის პალიასტომის კარი!

მიადგნენ კიდევაც. ძირები ხშირ ბადესავით გადასდებოდა ძაბრად მოწურული სამი მდინარის ვიწრო ყელს, და სავალს თითქოს სულ ხშავდა. იყო მუხა, მისი შიშველი, ვეება კიბოსავით ძირები და მის იქით, ტყესავით მომდგარი უტეხი ისლნარი.

ნავები რიგ-რიგობით შეძვრნენ თაღად გადმოსულ ძირებში.

შიგადაშიგ ჩამოღწეული მთვარის შუქი სულ აუცნაურებდა ძირშიშველა მუხას.

— ეს მართლა საძრომელა ყოფილა! — ხოფები ნავში ამოყარა და თავი ჩახარა მითრიდატემ... სხვებიც ასე მოიქცნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ, მუხის ძირში ვათევთ ღამეს... ყველაზე მშრალი ადგილია! — მუხაშავრა ძირებს დაეჭიდა და ზევით აძვრა, — თქვენ ცოტა წინ წააყენეთ ნავები, იქ მყუდრო ყურეა, სამი ნავი დაეტევა! მე სანთლებს ვნახავ!

— სანთლებს? — მაგრამ სოროს ეტიკი ბადის იქით გაუჩინარდა.

მყუდრო ყურეში ნაპირზე გავიდნენ და ნავებიც სანახევროდ გაათრიეს.

მუხის ტერფთან გაშალეს ტყავები და ნაბდები. აქ არ აღწევდა მთვარის შუქი და ახლა დააფასეს მუხაშავრას მოტანილი სანთლები.

— არა, მაინც საიდან გააჩინე? — ჰკვირობდა მითრიდატე უფლისწული, რომელიც სწავლული მკურნალის შეგირდის სახით იყო შეფარებული.

— ეს ხე ხატია და ყოველი ნებსით თუ უნებლიედ შემომსვლელი რაიმეს სტოვებს აქ, სანთელს კი, თუ კი აქვს — უსათუოდ! დილით გაჩვენებ!

...მთელი ღამე არ სძინებია მითრიდატეს... და იმიტომ კი არა, რომ კოღოები აწუხებდნენ... მთელი მხარე, ზღვა, ჯერ უჩინარი ტბა, თავისი მომავალიც კი ამ მუხის ძირებში გაცრილად ეჩვენებოდა... ვარსკვლავების ანარეკლად ელანდებოდა.

დაწოლის წინ წვრილად გამოჰკითხა მუხაშავრას, ჯუმათიდან გამოყოლილ ეტიკს, და მაინც ვერასგზით ვერ წარმოიდგინა მიწის ვიწრო და უკაცრიელი ზოლი, ზღვისა და ტბის შორის... ზედ კიდევ სამი მდინარე, ჭაობებზე რომ აღარა ვთქვათ რა! თანაც ზღვა — ბერძნულად პონტო ევქსინის, ქართულად კი — სპერის ზღვა, თავისი შფოთიანობით განთქმული, ყველაზე უშფოთველი ჩანს, თორემ ტბის მხრიდან ფრინველთა და ნადირთა ისეთი გნიასი მოდის, რომ ამის მსგავსი არაფერი სმენია მითრიდატეს.

გათენების ერთი სული ჰქონდა... და სწორედ გათენებისას ჩაეძინა.

ზღაპრულ ფაზისის ზღურბლთან იყო. ელინური აღზრდისა და განსწავლის ჭაბუკს იმ მითიური ქვეყნის მრავალხმა სწვდებოდა, რომელიც მშობლიურ-ნათესაურიც იყო და სწავლითაც ,,ღმერთებისა, გმირებისა და მითების სავანედ'' ესახებოდა.

ეს რაღა სასწაული ხე-სრუტეა? იქ — ტუბალებში, პონტოს სამხრეთ სანაპიროზე, ძმურ-მეზობლურ ტომებში — კედარი იყო წმიდა ხე—ხე-კერპი, ხე-კელაპტარი, ხე-სვეტი ცხოველი!

აქეთ — ნათესავ ტომებში მუხა ყოფილა, მუხა-ჭყონი, თუ რკინი? იგივე ხე-წმიდა, ჯუგე თუ ჯაგ-მუხა, ხე-ხატი, ხე-დედაბერა!

გრძნობითა და ალღოთი ავსებდა მიხვედრასა და საერთო ლანძვებს.

. ...ვიღაც ფრთხილად შეეხო. უმალ გამოფხიზლდა და აზრი მოიცა. თავი მკვირცხლად წამოყო.

მის გვერდით, მუხის ტანზე მიყრდნობით, მისი პირველი მრჩეველი, მამის ანდერძით თქმული მეურვე, ბედანკოლხი წამოწეულიყო. მის გვერდით აბიო-იბერიც წამოწეული ჩანდა. დანარჩენთ ეძინათ. ეს ორი აზროვანი მოხუცი კი თვალმოუწყვეტლად მაღლა უმზერდა. ორივე განაბულები ჩანდნენ.

...იქ აბლაბუდაში სხივი იბადებოდა... მეტი ვერაფერი ვერ დაინახა ნამძინარევმა.

აღმოსავლეთით უკვე რიჟრაჟი და ნავლი დგებოდა. შორს ზღვაში ოდნავ სხივგაკრული ქუფრი იწვა. ცა კი, საოცრად მწვანე ცა, ყირაზე შემდგარ ზღვას უფრო ჰგავდა. ჰაერში სრული სიჩუმე იდგა. ჩანს ერთწამს, განთიადის საირაოზე, ყველა სულდგმულს ძილი ერევა!

მითრიდატემ დაამთქნარა, მუხის ტანს ხელმეორედ აახოლა მზერა... და ხელი მშვილდ-ისარს სტაცა. თუმცა მერმე ახალგაზრდაც, მოხუცებივით გაინაბა.

მუხის მთელი, თამამი ვარჯი, გუნდა-გუნდა ხელხატულად და ბოლოქარგულად მოჩანდა. უფრო შეაკვირდა — ათასი ხოხობი მაინც იჯდა მუხის ტოტებზე და სთვლემდა. თითქოს რქოს მაგიერ მუხას ხოხბები ება!

— ფაზიანა! — ჩურჩულით აღმოხდა, — აი ამ ქვეყნის ნიშანი — მუხა და ხოხობი... მუხა და ხოხობი!

სანახაობა სიზმრის გაგრძელებას უფრო ჰგავდა.

სიფხიზლის გრძნობის მოსახვეჭად, მუხისიქითა სამყაროს გაჰხედა ჭაბუკმა... იქ — შორს, ჩრდილო ცისკიდურზე — ალმასთეთრა უსწორო ზოლი თუ ზღუდე თვალს ეკიაფა.

— კავკასიონი? ამირანეთი!

ახალი ზღაპარი იწყებოდა, ახალი ხილვა... ფიქრის უნაპირო საბორიალო... ყმაწვილკაცს არც კი ეგონა, რომ ამდენი, მშობლიურად მჭიდე ძარღვებითა და ფესვებით ყოფილა მიჯაჭვული ამ ჯერ მკაფიოდ გაუყოფ, სრულიად უნახავ მიწისა და წყლის სამყაროსთან!

,,ნუთუ ჩვენ ყველანი, გათვისტომებული ერის აზროვანნი, ჩვენი გაჩენის დედა-აკვანებზე უხილავად მიჯაჭვული ამირანები ვართ!?''

...კავკასიონის მხრიდან ცას შავი წერტილი გაეკრა... თანდათან მკაფიოდ გამოთავთავდა...

— ორბი ამირანის ტანჯვისა!

ორბმა კი მაღალი ირაო დაჰკრა და დედაბერა მუხამდინარისაკენ წამოემართა. ახლა იგი აღმოსავლეთით უვლიდა მუხას და ფრთების მიღმართ, კავკასიონის გარდა, თითქოს მზის ბრწყალიც მოჰქონდა.

დედაბერას ცარგვალში, ტოტების მაღლა, თვალს მოეფარა ორბი... მაგრამ ახლა ხოხბების კრიახმა და ყივილმა, ფრთების ფეთქამ შეძრა სადედაბრო.

მუხის ხატოვანი ვარჯი ანაზდად გაიზარდა, ირგვლივ გაფუვდა და უფრო შეფერადდა... დიდ ბელტიფანტურად მოსწყდა და ყივილით — ჰაერში თუ შემომდგარ ისლნარში გადნა.

გაქრა ხილვა და ახლა მნახველს ძილში ამოყოლილ სიზმრად დარჩა.

მითრო-ყმაწვილმა თავი ნაბადში წაყო და სიზმარცხადს უკან აედევნა.

...როდესაც გაეღვიძა, მზე უკვე მუხის ცარგვალში იყო. ყველა მდინარის პირას საქმიანობდა. მწვადი უკვე შიშხინებდა მუხის ნაკვერცხლებზე.

ხე-ხატის ჩრდილშივე, ქვაკერპა და მცირე ნიში შენიშნა ჭაბუკმა. ახლა მიხვდა საიდან გააჩინა მუხაშავრამ სანთლები.

ნიშის თავზე ფრთაგაფარჩხული ორბიც დაინახა...

— ვინ მოკლა? როდის?

— სავლაკემ, ამ დილით! ჩვენს სამწვადეს დასცხრომოდა, სუკი ამოეჭამა!

— თუ გულ-ღვიძლი?... სიზმარ-ცხადი გრძელდება! — წაიბუტბუტა მითრიდატემ, ტანზე გაიხადა და მუხის ძირებში ჩახტა. მას ტარიელი, სავლაკე და ზოგი სხვაც მიჰყვა.

ზღვაში თავი გაჰყვეს თუ არა, ხუთი-ექვსი უტევანის შორვით, ფაზისისაკენ მიმავალი ხომალდი შენიშნეს.

გრძელი ნიჩბების წყებანი, ზღაპრულ ფრინველის ფრთებივით მწყობრად ადი-ჩამოდიოდნენ.

— სამქანდარა... სინოპური! — აღმოხდა მითრო-შეგირდს. წინ, ხომალდს მკაფიოდ უჩანდა ხეში გამოკვეთილი პირაშკმული ცხენის თავი.

ზღვის ძმები არც გამობრუნებულან, ვიდრე სამქანდარა, სამხედრო ხომალდი ბექოვან ყურეს არ მიეფარა.

ბედისწერა თითქოს უკან მისდევდა გამორიდებულ უფლისწულს. ეს კი თითქოს სიზმრისა და ზღაპრის ბოლო იყო!

— ჩვენი მდევარი არ იყოს! — ტარიელმა წასჩურჩულა ლტოლვილ მემკვიდრეს.

ამბის გასაგებად ფაზისს, ბედან-კოლხმა, ნავით ჩუმი მაცნე გაგზავნა. მითრიდატეს კი გული ტბისაკენ მიერჩოდა. იქიდან ისევ ზღაპრული გნიასი მოდიოდა... იქ ალბათ კარგი სამალავიც იყო, სიზმარ-ცხადის გაგრძელებაცა და შევაჟკაცების კეთილი მოსასინჯიც.

სამნი წავიდნენ. მუხაშავრამ მარჯვნივ ჯერ მალთაყვა მოიტოვა, მერე დედაბერა-მდინარე და კაპარჭას აჰყვა.

გაიმანძილა და მიმდგარ ისლნარებს აუარა, მერმე არჩია, არჩია, შიგ შეიჭრა და ნავიან-მგზავრებიანად შეიკარგა.

გვერდის ხოფების მოსმა აღარ ხერხდებოდა, მითრო-შეგირდსაცა და სავლაკესაც თავი დაანებებინა და მხოლოდ კიჩოს ხოფით მოქმედებდა.

ფრთხილად და ჩუმათ ეპარებოდა ისლისიქითა ტბის სარკესა და ხარვეზებს.

ირგვლივ ახლომახლოში გაბმული ფრინველთგნიასი იდგა.

...და ჰა, ისლის დასალიერს რომ მიაღწიეს, მუხაშავრამ სულ შეაჩერა სვლა. ისლნარის უკვე გამჭვირვალე კედელში ბზინავდა ტბაში ჩავარდნილი მზე, გედებით, ღერღეტებითა და უამრავ იხვებით გადაჭრელებული.

ასეთი სიმრავლე და ნაირ-ნაირობა არც მითრიდატეს — გატაცებულ მონადირეს — ენახა და არც სავლაკეს. ზღვისპირეთში ყოველთვის ბევრია ფრინველი, მაგრამ ასეთი უთვალაობა!..

— ეს რა ფრინველთ წარღვნა ყოფილა!? — მშვილდ-ისარი სულ დაავიწყდა ჭაბუკს.

ახალგაზრდები მონუსხულივით უმზერდნენ შავი გედების შეამაყებულ ცურვას. ხაზარულა იხვების თავყურყუმალა კოპწიაობას, ჭიკვარების უძირო ყვინთვას, ბოლოსადგისათა კვატ-კვატს, ღორიხვების, ვარხვების, ათასჯურა ჭყიამპოების, წყლის ქათმების, თოლიების ფრენასა, ცურვასა და კრუალს.

ზოგან დაჭერილ და ნისკარტში ამოტრიალებულ თევზის გულისთვის შეიქმნებოდა ერთი გლეჯა-ტაციაობა... ახლა სხვაგან, ცაში ავარდებოდა, გადინაცვლებდა და გაშლილ მარაოსავით კვლავ ტბის სარკეს დააცხრებოდა ათასფრთიანი გუნდი.

გაოგნებულად, სულმოგუბულად, ჩამუხლებულად იდგნენ ნავში ყმაწვილკაცები და დროის გრძნობა დაჰკარგოდათ.

...ბოლოს მუხაშავრამ წალდი მოიხელთა და ნიღრით ახლომახლო ლელიანი გამოჭრა, ნავს თავზე გადაახურა, ბუნებრივად შენიღბა.

— აბა, ჩაწექით ახლა! საფრინველოში მივალთ... მაგათი ენა თუ გესმით ვისმე? ერთი რამეც ისურვილეთ... ირჩიეთ ფრინველი! ადამიანს სიხარბეს ყველაზე უფრო ნადირობაში შეატყობ!

ჭაბუკები უსიტყვოდ ჩაწვნენ. რჩევით კი, არა ურჩევიათ რა...

— შავი გედები? — ისევ თავად შეეკითხა მუხაშავრა.

— არა! ყველა ღმერთებს გაფიცებთ, ჩუმად ვიყოთ... არ გაქრეს ზმანება!

— არა, მკურნალთ შეგირდო! — უფრთხობია! — მუხაშავრამ თავადაც იფარა ისლის კონა და ნავი დასძრა. ხოფი სულ მსუბუქად აამოძრავა.

დასარკულზე ნელი ტაატით გამოვიდნენ მოხიბლული მონადირენი. სულ მალე ფრინველთ შორის მიცურავდნენ.



არც თუ ერიდებოდნენ ფრთოსნები, მხოლოდ გზას უთმობდნენ, სულ ისევე, როგორც შავ გედებს.

მხოლოდ ენაყვითელა ღერღეტებმა ატეხეს საშინელი ყაყანი, მთელი საპალიასტომო დააქუხეს, თუმცა არ აფრენილან.

...მაგრამ ხანგრძლივი განცვიფრება ისეთივე ძნელი ასატანია, როგორც დაძაბული ტანჯვა.

— ვტყორცნი ისარს!.. წყალში გადავხტები!.. გადავირევი! — აზრწასულად ჩურჩულებდა სავლაკე. მითრო-ჭაბუკი თავს ძალას ატანდა და ძლივს ითმენდა. მუხაშავრა კი ახლა თავად მოჰყვა იხვივით კვატ-კვატს და შუაგულში შეიჭრა.

სულ ხელის მისაწვდომში ცურავდნენ გედები და ღერღეტები... ჭყიამპოები კი ნავის კიდეზე შემოჯდნენ და შექნეს ჭიკჭიკი.

...მაგრამ შავჯაჭვედა და ფეხმაღალა ლაკლაკიც რომ მოტყუვდა და ნავის მოჩარდახულზე დაეშვა... მაშინ კი მითრიდატე ყმაწვილმაც დაკარგა მოთმინება და ქვევიდან ფეხებში ხელი შესტაცა მისთვის თვალით უნახავ ფრინველს.

ლაკლაკმა დიდი შავზოლა ფრთები აფრებივით აასავსავა, მისმა კრუალმა ცას უწია... და მაშინ მოხდა ახალი სასწაული... ტბა ყალყზე შედგა, ადგაფუნდა, იქუხა და ჰაერში შევარდა.

ირგვლივ ისეთი ღელვა და ჰაერთქროლვა შეიქნა, რომ ისლის საბურავი სულ გადასცვივდა ნავს. მითრომაც ხელი უშვა ლაკლაკს.

— აჰა, შენც მათთან წადი! ფრთები გაქვს და გაგიხარია!

პალიასტომის მთელი ფრინველეთი ადგა და სხვადასხვა მხარეს მიაშურა...

— ახლა მარჯვეთ!.. შემობრუნდებიან!.. მაგრამ დამჯდარის სროლა არ იკადროთ, ახალვაჟკაცებო! — გააფრთხილათ მუხაშავრამ და ნავი ადგილზევე დაატრიალა.

მონადირეებს კი ისედაც ისეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს ნავიც აიტაცეს ფრინველებმა...

მართლაც, გუნდ-გუნდად ნავს ისევ გადაუარეს ფრთოსნებმა.

— შავ გედებს არა! — სავლაკეს შესძახა მითრიდატემ, — ძიძას მაგონებს! — და კისერწაგრძელებულ ღერღეტების გუნდს შუაგულში სტყორცნა ისარი. მეორეც მოასწრო. არც სავლაკე იყო გონჯად. კიდევ და კიდევ... ხან იხვები, ხან ვარხვები, ხან სრულიად უცნობი ფრინველები უვლიდნენ...

მუხაშავრა სულ აბორიალებდა ნავს, ჰკრეფდა ჩამოყრილ ფრინველს. მითრიდატეს ერთმა ისარმა ორი ყელფირუზა იხვი ერთად ჩამოაგდო.

— გვეყო! — შესძახა ცეცხლმოდებულმა მონადირემ! — ბრძოლა ხომ არ არის?! მტრის ჟლეტა!... ესენიც ჩვენებურები არიან!.

— ახლა კიდევ ერთ ნატბევარსაც და ფიჩორსაც განახვებთ!... ახლა გაუვალი ტყე არის ლიაში... აქ, წყალი და ხმელეთი ჯერ არც გაყრილა!

ისევ ხოფებს მოუსხდნენ და მკლავმაგარად და ხელშეწყობილად დასცხეს.

მალე ტბის ყურეში მოხვდნენ. ნავდანავ ტყეში შევიდნენ. დაბურული თხმელნარები, ვეება ბობოწვერიანი წიფლები, მოშრიალე ვერხვები და ჭალის წნორები. ეკალბარდითა და სუროებით გადაბურული და გადაფშალული ცაში ასულ მწვანე კედლად იდგა. პირველყოფილი ტყე ჩახავსებული ხერგებითა და ატალახებული ნადირთსაძრომებით.

ჩრდილდაკრულ, მწვანე წყალს ლოპრისა და დამპალ ხის ყრჩოლვა ასდიოდა...



— ირმები! — სავლაკემ მარჯვნივ გაახედა ორივე,

— ღორების კოლტი! აქეთ, აქეთ, მარცხნივ! — ახლა მუხაშავრამ გააბა ჩურჩული.

მითრო კი დაძაბულად იდგა და სულ სხვაგან იმზირებოდა. ხელით ანიშნა.

ძირამობრუნებულ ხვალოს ჩაუარეს, მის ვეება ტანს, ნამეხართან გაუძვრნენ თუ არა, ჭაბუკი მოსხლეტით შემოტრიალდა და ისარი თავგამეტებით ზევით სტყორცნა.

ხის ნუჟროვანს მოზრდილი, დაფორეჯებული ნადირი მოსწყდა და წყალში ჩავარდა.

— აფთარი! — ბედზე მოუსწარ! — მუხაშავრამ ნავი შემოაბრუნა და დაჭრილ აფთარს მიაწია, ხელი სტაცა... მაგრამ ძლივს მოასწრო გარიდება. აფთარი უკანასკნელ ძალით ებდღვნა, სახელო შეახია და ფხაშერეული ცურვით წყალს მიჰყვა.

— არ გცოდნია აფთრის მოილეთება! ერთი მაწვდინე! — მითრიდატემ მოიზიდა.

ნავი მალევე მისწვდა. ჭაბუკმა მარცხენა წამოუქნია, აფთარი კბილების ღრჭიალით მიეტანა, ქეჩო მოიგრძელა... სწორედ აქ დასტაცა მითრიდატემ მარჯვენა, მაღლა ასწია და გულაღმა გადაბრუნებული ნავის ცხვირს დაანარცხა, ფუძის მალი გადაუტეხა და ნავში ჩააგდო. აფთარმა უმალ ფეხები ჯაჭიმა.

—არ შეიძლება, შეგირდს შეგირდად მიებაროს კაცი, არცთუ უილეთო და უნიჭო? — მუხაშავრა ახალი ეტიკი იყო. მან არც იცოდა მითრო-შეგირდის ფარული უფლისწულობა. თუმცა არც ახლა დასცალდა დიდი საუბარი... ირმების კვალზე მგლების ხროვას წააწყდნენ...

— სავლაკე, შენი ჯერია! წაგივიდა! ჭაობის მგელი!

სავლაკემ მარჯვედ სტყორცნა ისარი, წლიურა მგელს ფაშვში გაუყარა. ციბრუტივით დაატრიალა. მგელმა მაინც იძალა და შეუვალ ბარდში შეძვრა. ხროც იქით მიეტანა.

მუხაშავრამ ნავით თავს დაუარა დაბურულ კუნძულს.

— სისხლი იყნოსეს... ახლა აღარ მოეშვებიან! შეჭამენ დაკოდილს!

— მგლის ჯიში და გერში პალიასტომზეც ისეთია, როგორც სხვაგან?

— მგელი მგელია ყველგან!.გესმის რა ამბავში არიან!?

მალე პირსისხლიანი ძუ მგელი გამოხტა ღიჭნარიდან და თავქვე ჩამოძუნძულდა... უფლისწულმა გალანდა თუ არა, სტყორცნა, წინა მხარში მოარტყა და დააგორა.

მითროც გადახტა და მგელიც წამოვარდა, შემოეფეთა, მოღერებულ ისარს ეცა. მონადირემ მიუშვა და მიბჯენით შიგ ხახაში ჩასცა მეორე ისარი. მერმე მშვილდი მოსდო თავზე და სულთმობრძავი წამოათრია, ნავში ჩამოაგდო და სისხლიანი ხელები აქვე წყალში ამოიბანა.

— ნეტავ ასევე მოვერეოდე ძუ მგლის ნაშიერთ!

ნავი ისევ ტიალ წყალზე რომ გამოვიდა, მუხაშავრამ ჩუმად იკითხა:

— ძუ მგლის ნაშიერები ვიღა არიან, მკურნალ-ოსტატო?

— რომაელები...

ნავზე ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ხოფების მხარშეწყობილი და ხელმარდი მოსმა ისმოდა.

პალიასტომის ჩასპილენძებულ სარკეს მიდრეკილი მზის ნასხივი პირველყოფილ ეშხს ჰმატებდა. უკვე სასირობის ჟამი იყო და ფრინველთ აურაცხელი გუნდები ირეოდნენ წყალშიცა და ჰაერშიც. მაგრამ მონადირენი მხოლოდ ტკბებოდნენ, ოცნებობდნენ, თავთავისას იგონებდნენ...

— მოგვთა მოგვი აქ რომ ყოფილიყო, ნეტავ როგორ დახსნიდა მისნურ ნიშნებს? ეჰ, ადამიანებს რომ შეეძლოთ მომავლის ჭვრეტა, რამდენი ზედმეტი სისხლი აღარ დაიღვრებოდა!

ნაირ-ნაირი ფრთოსნები კი სულ უვლიდნენ გარშემო. შავი გედები მართლაც ადგილის ძიძებივით დაფრინავდნენ. მალე კი ხოხბებმაც იწყეს გადაფრენა.

— მე პონტო უმდიდრესი და ულამაზესი ქვეყანა მეგონა მაგრამ ჰეას ქვეყანა, კოლხეთი საოცარი რამე ყოფილა! პალიასტომი კი განუმეორებელი სამყაროა ფრინველ-ცხოველთა!

მუხაშავრასაც ჰქონდა სათქმელი, მაგრამ თავს იკავებდა თუმცა სათქმელმა ყელი გაუხვრიტა და მაინც ათქმევინა...

— აბა მე ჯერაც არ ვიცი თქვენი პონტოდან გადმოსვლის მიზეზი და მიზანი, მაგრამ ვგრძნობ — კეთილზრახვიანია... მეც მიგულეთ თქვენთან! თავდებს დავიყენებ!

— შენ ჩვენთან თავდები აღარ გჭირდება! აღარც გაგიშვებ! პალიასტომს ვფიცავ!

უკან ბრუნდებოდნენ ახალგაზრდები, ერთი დიდსარბიელით, სახელდობრ — პალიასტომის სამყაროთი შემდიდრებულნი და შევაჟკაცებულნი. განსაკუთრებით ეს შეეხებოდა ფარულ შეგირდს, რომელსაც ბედისწერაც თითქოს მოსდევდა, მაგრამ ნიჭის ბედსამდურავი არ ეთქმოდა.

...მათ თავზე გადავლით და გადასწრებით დედაბერას მუხისაკენ მიფრინავდნენ, მიფრინავდნენ ხოხბები...

— მუხა და ხოხობი! მუხა და ხოხობი! — ჩურჩულებდა და ხოფს იმედიანად უსვამდა ჭაბუკი მითრიდატე...

პალიასტომის სიზმარ-ცხადი გრძელდებოდა...

მხატვარი რ. ცუცქირიძე.



# დაუვიწყარი დღეები

დენშა გოჩალიშვილი

ხალისიანად, მხიარულად გაატარეს ზამთრის არდადეგები მოსწავლეებმა. საახალწლო ზეიმები ნაძვის ხესთან, კოლექტიური სვლები ნაირ-ნაირ სანახაობაზე, კარნავალები, შეჯიბრებები ციგურებითა და თხილამურებით სრიალში... ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამით იჯერეს გული ნორჩებმა. და მაინც განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა არდადეგების დღეები იმ მოსწავლეთათვის, რომლებმაც ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის მიერ მოწყობილ ექსკურსიაში მიიღეს მონაწილეობა. ეს პატივი ჩვენი რესპუბლიკის 116 მოსწავლეს ხვდა წილად მათ განსაკუთრებულად ისახელეს თავი სწავლასა და სასარგებლო საქმიანობაში. ექსკურსია კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. მისი დევიზი იყო: ,,მამაცთა გზით''.

და იცით, სად მოეწყო ექსკურსია? ქალაქ სოჭში! იმ ქალაქში, სადაც თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ცხოვრობდა ჩვენი ეპოქის გამოჩენილი მწერალი-ბოლშევიკი, სამოქალაქო ომის მონაწილე, მგზნებარე კომკავშირელი. საკავშირო კომკავშირის პრემიის პირველი ლაურეატი ნიკოლოზ ოსტროვსკი.

1936 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ჯანგატეხილ მწერალს სოჭში, მაღლობზე, პიონერთა შესახვევში, სახლი აუშენა. ამ სახლში გაატარა სიცოცხლის ბოლო პერიოდი ,,როგორ იწრთობოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნიკოლოზ ოსტროვსკი

ფოლადის" ავტორმა. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს სახლი ნ. ოსტროვსკის სახელობის სახელმწიფო მუზეუმად გადაკეთდა. ქართველი მოსწავლეები სწორედ ამ მუზეუმის დასათვალიერებლად ჩავიდნენ სოჭში. მათ სურდათ უფრო დაწვრილებით გასცნობოდნენ საყვარელი მწერლის ცხოვრებას, ყველა საბჭოთა ახალგაზრდისათვის ეგზომ სანიმუშოსა და მისაბაძს.

ნ. ოსტროვსკის მუზეუმის დათვალიერების შემდეგ თავიანთი დიდი შთაბეჭდილება ექსკურსიის მონაწილეებმა დღიურში ასახეს. აი, რამდენიმე ამონაწერი ზოგიერთი დღიურიდან.

„რა დამავიწყებს 4 იანვრის დილას!.. ჩემს წინ ლურჯი ზღვის უსასრულობა გადაიშალა. პალმები... პალმები... მარადიულ სიმწვანეში ჩაფლული ქალაქი.. ჩვენს ვაგონებს სოჭელი თანატოლები შემოსციინიან. იქვე ხანშიშესული, საშუალო ტანის კაცი დგას და ისიც ჩვენ გვიღიმის. ეს კაცი ნიკოლოზ ოსტროვსკის უახლოესი მეგობარი პეტრე ნოვიკოვი აღმოჩნდა. იგი სტუმრად ყოფილა სოჭში. თურმე გუშინ უნდა დაბრუნებულიყო უკან, მაგრამ რომ გაუგია, ქართველი მოსწავლეები ჩამოდიანო, საგანგებოდ დარჩენილა. ამ ამბავმა ძალიან გაგვახარა"

*რიმა შათაშვილი,*

*ცხინვალის რაიონის სოფ. ძარწემის საშუალო სკოლის მოსწავლე.*

„ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა დამეთვალიერებინა მამაცი კომკავშირელის, შესანიშნავი მწერლის ნიკოლოზ ოსტროვსკის ცხოვრებასთან დაკავშირებული ადგილები. პავკა კორჩაგინი ჩემთვის ყოველმხრივ მისაბაძი გმირია, მისი სახის შემქმნელი კი ჩემი საყვარელი მწერალი".

*ნელი შუგლაძე,*

*ფოთის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე.*

„პეტრე ნოვიკოვმა ბევრი საინტერესო რამ გვიამბო მის მეგობარ ნიკოლოზ ოსტროვსკიზე. შემდეგ მან ჟურნალ „სმენის" შარშანდელი მე-11 ნომრის ორი ეგზემპლარი გადმოგვცა. გვთხოვა, ერთი ცალი საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატისათვის, მწერალ ნოდარ დუმბაძისათვის ჩამოგვეტანა, ხოლო მეორე ცალი, ჩვენი შეხვედრის სამახსოვროდ, ბავშვთა ტურისტული სადგურისათვის გადაგვეცა. „სმენის" ამ ნომერში დიდი ადგილი უჭირავს ნ. ოსტროვსკისა და პ. ნოვიკოვის მიწერ-მოწერას. „შენზე ერთგული მეგობარი ჩემს ახლობლებში არავინ მეგულება", —სწერს ნიკოლოზ ოსტროვსკი თავის ერთ-ერთ წერილში პეტრე ნოვიკოვს. როგორ მიხარია, რომ ჩვენი უკვდავი მწერლის ასეთი ერთგული მეგობარი პირადად გავიცანი"!

*ნათელა კანკავა,*

*თბილისის 33-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.*

„სოჭის თვალწარმტაცმა მიდამოებმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ალბათ უფრო იმიტომ, რომ აქ ცხოვრობდა ჩვენი ძვირფასი მწერალი. ვნახეთ კურორტი „მაცესტა", მისი თერმულ-გოგირდოვანი სამკურნალო აბაზანები, შესანიშნავი სახატორიუმები, სადაც მკურნალობდა ნიკოლოზ ოსტროვსკი. მწერლის მუზეუმში ისე კარგად, სრულად არის ნაჩვენები ნ. ოსტროვსკის ცხოვრება და შემოქმედება, რომ ჩემთვის უფრო ნათელი გახდა მისი შეუპოვარი სული".

*ქეთევან მიქაძე,*

*მახარაძის რაიონის სოფ. მელექედურის საშუალო სკოლის მოსწავლე.*

„ნიკოლოზ ოსტროვსკის განსაკუთრებულად უყვარდა ახალგაზრდობა და თვითონაც ახალგაზრდობის სიყვარულით იყო გარემოცული. უკრაინის კომკავშირის IX ყრილობაზე შეპეტოვის კომკავშირელებმა მას დელეგატის მანდატი გამოუგზავნეს. ვინიცის საოლქო კონფერენციამ იგი საკავშირო კომკავშირის X ყრილობის დელეგატად აირჩია. ლოგინს მიჯაჭვულმა მწერალმა 1936 წლის 6 აპრილს კომკავშირის ყრილობაზე რადიოთი წარმოთქვა სიტყვა, რომელსაც სულგანაბული უსმენდა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა. ყველაფერი ეს დაწვრილებით ნ. ოსტროვსკის მუზეუმში შე-

ვიტყვე და კიდევ უფრო შევიყვარე მარად ჭაბუკი მწერალი“.

*თამარ გუთხუზი,*
*თბილისის 32-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.*

„ნიკოლოზ ოსტროვსკის ცხოვრებას თითქოს საკმაოდ ვიცნობდი, მაგრამ მისი მუზეუმის დათვალიერებამ ბევრი რამ ახალი შემძინა და ჩემს გულში ახალი ძალით აჟღერდა მწერლის სიტყვები: „მხოლოდ წინ, მხოლოდ ბრძოლის ხაზზე, მხოლოდ დაბრკოლებების გადალახვით — გამარჯვებისაკენ!“

*ვლადიმერ არუთინოვი,*
თბილისის 72-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.

„5 იანვარი. ნ. ოსტროვსკის მუზეუმში ვართ. აქ გამოფენილი ყოველი ნივთი საინტერესო და ახლობელია ჩვენთვის. ვეცნობით მწერლის მდივანს ალექსანდრა პეტრეს ასულ ლაზარევას. სარეცელს მიკრული ოსტროვსკი სწორედ მას უკარნახებდა თავის რომანს („ქარიშხალში შობილნი“). თმაშევერცხლილი ალექსანდრა პეტრეს ასული მწერლის უკანასკნელ დღეებზე გვესაუბრება. ყველას გულში ჩაგვრჩება მისი ნათქვამი: „იყავით ისეთნი, როგორიც იყო ნიკოლოზ ოსტროვსკი“. ა. ლაზარევა დიდად იწონებს საქართველოს ბავშვთა ცენტრალური ტურისტული სადგურის წამოწყებას“.

*ნიკოლოზ ჯინჭარაძე,*
*თბილისის 52-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.*

„უკრაინის კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში ნ. ოსტროვსკის პრემია დააარსა. ჩვენთან არის ამ პრემიის ერთ-ერთი ლაურეატი ე. ფ. შერსტობიტოვი, რომელსაც ეს საპატიო წოდება არკადი გაიდარის ზღაპრის „მალჩიშ კიბალჩიშის“ ფილმის სცენარისა და რეჟისორობისათვის მიუღია. იგი თავისი მუშაობის შესახებ გულღიად გვესაუბრება და ჩვენი საქმიანობაც აინტერესებს.

*ავთანდილ გოგებაშვილი,*
თბილისის 131-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.

ქართველმა მოსწავლეებმა ინტერესით დაათვალიერეს სოჭის ღირსშესანიშნავი ადგილებიც. აი, რას მოგვითხრობენ ექსკურსიის მონაწილენი.

ზურაბ ნახუცრიშვილი,
გორის მე-11 საშუალო სკოლის მოსწავლე:

ვიყავი „რივიერაში“. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე „რივიერა“ აქ ერთადერთი სასტუმრო ყოფილა, რომელსაც ირგვლივ თურმე ჭაობები აკრავდა. მას ახლა „კავკასიის რივიერა“ ჰქვია და მრავალსართულიან სასტუმროებს შორის დგას. მის წინ შესანიშნავი პარკი და მაგნოლიების ხეივანია. თვითეულ მაგნოლიაზე პატარა დაფა არის მიკრული. დაფებზე იმ გამოჩენილ ადამიანთა გვარები და სახელები სწე-



ამ კომკავშირულ ბილეთს ხათუთად ატარებდა გულთან ნიკოლოზ ოსტროვსკი


ნ. ა. ოსტროვსკი სოჭში. ლოგინთან მისი ცოლი რაისა.




ნ. ოსტროვსკის პარტიული ბილეთი. ღირსეულად ატარა იგი მთელი თავისი შესანიშნავი ცხოვრების მანძილზე მწერალმა.

რია, რომლებსაც აქ დაუსვენებიათ. ესენი არიან: საბჭოთა კოსმონავტები, მორის ტორეზი და სხვები.

*ირაკლი სოსელია,*
*თბილისის მე-2 გახანგრძლივებული საშუალო სკოლის მოსწავლე:*

საინტერესო გამოფენა ვნახეთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. აქ არის 1905 წელს სოჭში შეიარაღებული აჯანყების ამსახველი მასალები, მათ შორის — ამ აჯანყების მონაწილე ქართველების ფოტოსურათებიც. ეს ქართველები იყვნენ: მაქსიმე ხორავა (რომლის ბინაშიც მოთავსებული ყოფილა აჯანყებულთა ოპერატიული შტაბი), უტუ ბახია (მის სახლში თურმე იარაღი ინახებოდა), ნორაკიძე, ხუნწარია, ჩვენი თანატოლი — 15 წლის რიჟამაძე... აქ ანტონ ნადარეიშვილის თოფიც არის გამოფენილი. ჩემს თვალწინ გაცოცხლდა ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლ წინაპართა გმირული სახეები...

*ლილი ახვლედიანი,*
*დაბა ვანის კიროვის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლე:*

სოჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოფენილმა უძველესი დროის ნივთებმა ჩემი მშობლიური ვანი მომაგონა. რამდენიმე წელია ვანში, ე: წ. ახვლედიანების გორაზე, არქეოლოგიური გათხრები წარმოებს. უკვე აღმოჩენილია ანტიკური ხანის ქალაქის ნანგრევები, ქალაქის ზღუდე-გალავანის ნაშთები, სხვადასხვა არქიტექტურული დეტალები, სამკაულები... სოჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მდიდარია არქეოლოგიური ნიმუშებით და მათმა ნახვამ ჩემი ცოდნა გაამდიდრა.

* * *

სულ რამდენიმე დღე დაყვეს ექსკურსანტმა მოსწავლეებმა სოჭში. თვითეული დღე თავისებურად საინტერესო და მრავლისმომცველი იყო.

ნ. ოსტროვსკის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა ექსკურსიის მონაწილეებს გადასცეს მიმართვა, სადაც ნათქვამია: ,,ჩვენი აზრით, საქართველოს ნორჩ ტურისტთა სადგურმა, იმ ადგილებში ლაშქრობით, სადაც ვაჟკაცური, ძლიერი ნებისყოფის, ხალხთა ბედნიერებისათვის მებრძოლი ადამიანები ცხოვრობდნენ, — სასარგებლო, კეთილშობილური საქმე წამოიწყო. ვიმედოვნებთ, რომ აქ შეძენილ ცოდნასა და მიღებულ შთაბეჭდილებებს საქართველოს დანარჩენ მოსწავლეებსაც გაუზიარებთ''.

მიმართვის ავტორებისადმი მიცემულ პირობას ექსკურსიის მონაწილენი პირნათლად ასრულებენ: ისინი თანასკოლელებს გატაცებით უამბობენ ყოველივე იმას, რაც ნახეს და განიცადეს ექსკურსიის დღეებში.



ნიკოლოზ ოსტროვსკი — მოქანდაკე ი. ვასილევი

ამჯერად ჩვენი სტუმრები არიან ცნობილი მწერალი დემნა შენგელაია და გამოჩენილი დასტაქარი აკადემიკოსი კონსტანტინე ერისთავი.

# ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო...



ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ მუშათა უბანში — „ნაძალადევში“, ვიზრდებოდი. ჩვენი სახლი სწორედ იმ მოედანთან იდგა, სადაც მუშათა მასობრივი დემონსტრაციები და მიტინგები იმართებოდა. 1905 წლის რევოლუციამ ჩემს თვალწინ ჩაიარა. მამაჩემი რკინიგზაზე მუშაობდა. ჩვენს ბინაში ხშირად ეწყობოდა კონსპირაციული კრებები.

მე მოზარდი ვიყავი და ხშირად გუშაგად მაყენებდნენ ხოლმე ქუჩის კუთხეში. თუ რამე საფრთხე იყო მოსალოდნელი, ცხვირსახოცი უნდა მომესვა სახეზე.

რამდენჯერ გავმხდარვარ მოწმე მუშების დარბევისა და აწიოკებისა, მეფის პოლიციასთან, შავრაზმელებთან მათი შეიარაღებული შეტაკებისა.

აბა, ასეთ ვითარებაში რაზე იოცნებებდა ადამიანი? მეც თავისუფალ, ლამაზ ცხოვრებაზე, მშრომელი ხალხის ბედნიერ მომავალზე ვოცნებობდი... თქვენი თვალით ხედავთ, ჩემმა ოცნებებმა ფრთა გაშალა, სინამდვილედ იქცა...

ჩემს ბავშვობაში პირადი ოცნებებიც მქონდა: გულით მინდოდა გამოვსულიყავი მხატვარი, სპორტსმენი... აი, ეს ოცნებები კი განუხორციელებელი დამრჩა.

სკოლაში ხატვას ცნობილი მხატვარი ალექსანდრე მრევლიშვილი მასწავლიდა. ის ისე ფიქრობდა, რომ მე უსათუოდ აკადემიაში შევიდოდი და მხატვრობას გავყვებოდი, მაგრამ გადავედი თუ არა მეხუთეში, ახლა სპორტმა გამიტაცა. ღერძზე ვვარჯიშობდი. სპორტმა დამაახლოვა გიორგი მერკვილაძესთან, ვანო მაჭავარიანთან, კოტე ბაქრაძესთან... ჩვენი მასწავლებელი ცნობილი სპორტსმენი გიორგი ეგნატაშვილი იყო.

მალე სპორტიც მივატოვე და მთელი არსებით ლიტერატურას დავეწაფე. დღე და ღამე ვკითხულობდი, ცოტა ზედმეტიც მომივიდა, ძალიან დავიღალე და, ჯანმრთელობა რომ არ დამეკარგა, ერთი წელი ზღვის პირზე გადავსახლდი.

თავდავიწყებით ვკითხულობდი ანდრე ბელის, ბლოკის ნაწარმოებებს, ვაღმერთებდი დოსტოევსკის, ტოლსტოის, ჩეხოვს... ილიას „კაცია, ადამიანი“ და „სარჩობელაზე“ ახლაც საკაცობრიო, გენიალურ ნაწარმოებებად მიმაჩნია.

ვკითხულობდით და მერე კი თავდავიწყებით ვკამათობდით მე და ჩემი მეგობრები: გიორგი კლიმიაშვილი, არჩილ მექანარიშვილი, ბიძინა რამიშვილი...

ლიტერატურის სიყვარული გულში დედამ გამიღვივა. დედას, მართალია, კლასიკური განათლება არა ჰქონდა, მაგრამ ძალზე ნაკითხი ქალი იყო. ხშირად თვითონ გვიკითხავდა წიგნებს შვილებს... ჩემს შემოქმედებითს შრომასაც გულდასმით ადევნებდა თვალს, სასარგებლო რჩევა-დარიგებას მაძლევდა.

დედას მივუძღვენი ჩემი ერთი მოთხრობა — „ანდრო სავანელი“. 22 წლისა ვიყავი, დედა რომ გარდამეცვალა. „წითელ ყაყაჩოში“ ბეჟან დავლაძის დედის სახე დედაჩემმა შთამაგონა.

ჩემს მომავალ ლიტერატურულ საქმიანობაში დიდად კეთილი გავლენა მოახდინა გიგო დიასამიძემ. ის უაღრესად გულისხმიერი ადამიანი იყო. გიგო „თე-



თოთხმეტი წლის ასაკში ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლე ვიყავი და ამ სასწავლებლის უაღრესად კეთილშობილი და წარჩინებული მასწავლებლების აზრებით ვიკვებებოდი. მინდოდა მალე გამეთავებინა გიმნაზია, უმაღლესი განათლება მიმეღო და დაჩაგრული ხალხის სამსახურში ჩავბმულიყავი.

ეს პერიოდი რუსეთის დიდი რევოლუციის დასაწყისია. იმ დროს ყოველი ახალგაზრდის იდეალი ხალხისთვის თავდადება და სამსახური იყო. ჯერ კიდევ გიმნაზიელმა დიდ მოვლენაში — ქუთაისის ციხეში გვირაბის შეყვანასა და პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებაში მივიღე მონაწილეობა.

რუსეთის მაშინდელი იურევის უნივერსიტეტში სწავლის დროს სტუდენტთა მოწინავე საზოგადოების წევრი და კავკასიის სტუდენტთა საზოგადოების თავმჯდომარე ვიყავი. ლ. ტოლსტოის გარდაცვალების შემდეგ მოწყობილ სტუდენტთა გაფიცვაში, გამფიცველი საკოალიციო კომიტეტის წევრი ვიყავი მარქსისტული ჯგუფიდან, რისთვისაც დამაპატიმრეს.

ჩემი ოცნება ხალხის სამსახური იყო. ამას ვახორციელებ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. სწორედ ამ მიზნით დავამთავრე საექიმო ფაკულტეტი.

ჩემზე დიდი გავლენა მოახდინეს ჩემმა აღმზრდელებმა — ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლებმა — იოსებ ოცხელმა, სილოვან ხუნდაძემ და სხვებმა. მათი ყოველდღიური ცხოვრება მაგალითის მომცემი იყო ჩემთვის. განსაკუთრებით დამახსოვრდა გულს სილოვან ხუნდაძის გაკვეთილები, როცა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას ვარჩევდით.

...„საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“ — მოგვიწოდებდა დიდი ილია. სწორედ

მის" რედაქტორად მუშაობდა. ამ გაზეთში დაიბეჭდა ჩემი პირველი მოთხრობა „ნირვანა".

„უჩემოდ არაფერი დაბეჭდო, ჯერ მე წამიკითხეო" — მეტყოდა ხოლმე.

იყო კიდევ ერთი ადამიანი, რომლის პირადი ცხოვრების მაგალითი სიკეთით მავსებდა და სულიერად მაწრთობდა. ეს გახლდათ ლიტერატურული გმირი — ცოტნე დადიანი.

ჩემი ბავშვობის მეგობრები: — კოტე ბაქრაძე, ვიქტორ მირზაშვილი, ნიკო კეცხოველი და სხვები საქმიანობამ დაგვაშორა. კოტე ფილოსოფიით იყო იმთავითვე გატაცებული. ვიქტორი დენდროლოგია, ნიკო ბოტანიკოსი... ისე ხშირად ველარ ვხვდებით ერთმანეთს, მაგრამ ჩვენი მეგობრობის ძაფები არ დაწყვეტილა, თვალყურს ვადევნებთ ერთმანეთის სიხარულსაც, წუხილსაც და ყოველი ჩვენი შეხვედრა ძვირფასია და საამო.

ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო, მე ისევ მივატოვებდი, მხატვრობასაც, სპორტსაც და ჩემს ლიტერატურულ გზას უფრო მეტი გატაცებით გავყვებოდი.

ეს, მშრომელი ხალხის სამსახური დავისახეთ მიზნად მე და ჩემმა ამხანაგებმა და ეს მიზანი ბოლომდე გავყვა.

ჩემი ახლო მეგობრებიდან, სამწუხაროდ, დღეს აღარავინ არის ცოცხალი, მაგრამ მათი ხსოვნა არასოდეს გაქრება ჩემს გულში.

ახლა რომ 14 წლისა ვიყო, იმასვე ვისურვებდი, რასაც დღემდე ვემსახურები — ადამიანისათვის თავდადებას, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვას, — მაგრამ უფრო ენერგიულად და უფრო სრულყოფილად. ჩემი აზრით, იმაზე უკეთესი არაფერია. პირნათლად შეასრულო შენი პროფესიული მოვალეობა ხალხის წინაშე.

# გაზაფხულის ფერადები

**ნაზი კილასონია**

გაზაფხულს უმღერენ,
გაზაფხულს აქებენ,
და მზე შიგ თვალებში გვიცქერის,
ჩქარა მოუტანეთ ფერადი ფანქრები:
წითელი... ყვითელი... ცისფერი...
ცისფერით მოხატავს კრიალა კაბადონს,
მდინარეს, ნაკადულს, ჩანჩქერებს.
ეჰეი, მერცხლებო, მობრძანდით, გაბედეთ, —
ეგ თეთრი გულები გვაჩვენეთ!
გაზაფხულს აცინებს ეხოთა კივილი,
და თავს ურჩევნია სიმწვანე,
ის მწვანე ხელებით დაამსხვრევს ყინულებს.
ჯიუტად ყვირომებს, იწვალებს,
და რილო-ჭრილოებს დილისთვის გაალღობს,


ატყდება ჯეჯილის ბიბინი;
გამოდით, გამოდით, გამოდით, ბალღებო,
თქვენ გიყვართ ჯეჯილში სირბილი!
მერე კი! წითელი ფერების კაკაჩით,
მინდვრებში გააბნევს ნაკვერცხლებს.
დაკრიფეთ ყაყაჩო, დაკრიფეთ ყაყაჩო,
წაიღეთ, წიგნებში ჩაკეცეთ!
„ჩვენც, ჩვენც მოგვხედეო," —
იხუვლეს ველებმა,
იყვირეს ნუშებმა, პეპლებმა,

და ვარდის ფერები, და ვერცხლის ფერები
საყვარელ თვალებში ეპნევათ...
ჭადრები, ვერხვები, თხმელები, თელები
ჭალებში გაზაფხულს აქებენ.
გაზაფხულს უჭირავს ფერადი ხელებით
ფუნჯები, ყალმები, ფანქრები...
ახოსთან მოუსწრებს პირველი შხაპუნა,
ღრუბელთა პირველი გუგუნი,
ტბორებში პირველი ყარყატი დგაფუნობს,
და ტყეში იძახის გუგული...
და ცისარტყელებით უელავს ყაბაჩა,
მოდის და მოისვრის ნაკვერცხლებს;
ბალღებო, დაკრიფეთ
პირველი ყაყაჩო,
წაიღეთ, წიგნებში ჩაკეცეთ!





უფროსი პიონერხელმძღვანელი დოდო ბეხელია მუდამ ხალისით ეხმარება პიონერებს კედლის გაზეთის გამოშვებაში.

გოგოლა მზარელუა

# ოქროს ვერძის საგუშაგოები...

## ჯიხას ლაშქრავენ ნორჩი ისტორიკოსები

ისინი ბევრნი არიან — ცნობისმოყვარენი, მოუსვენარნი...

უყვართ ურნებში ხეტიალი, ქარაფებზე ცოცვა, ტალღებთან ჭიდილი...

გამოენთებიან მიკოტახილთან აგორებულ ზვირთებს და, — ჰერი..!

ტეხირ-გოლაზე, კოცონისპირას უთევიათ ღამეები და მთებს გადასწვდენია მათი ძახილი: სო-სოო, გულ-ნააზ, იურიი!..

ჯიხა არის მათი სალაშქრავიც, შთაგონების წყაროც.

ჯიხა — უძველესი ციხე-გოჯი — პირქუშ მითებში, ლეგენდებში თვლემს მათთვის.

ციხე-გოჯით იწყება აქ ყველა ზღაპარი და ძილისპირული.

რა წარმტაც ოცნებას არ აუშლის ხოლმე კაცს თბილი, ნაქალაქევური საღამოებისას ფანჯრებში გოლიათური მხრებით შემოჭრილი ციხე-კოშკებისა და წარმართთა სამლოცველოების მორღვეული ქონგურები!

ანტიკური ხანის ამ ეგრისული ქალაქის ნაშთები წარსულის უტყუ მოწმეებად დასჩერებიან თეთრ შენობას.

თითქოს სიმბოლურია ციხე-ქალაქისა და სკოლის მეზობლობა. მშობლიურ ანაბანასთან ერთად იჭრება იგი ნორჩი ნაქალაქევლის ცხოვრებაში და მერე...

მერე დაფებზე ერთნიშნა რიცხვებს სცვლის ასეულები, ათასეულები, ისე, ვით ციხე-გოჯზე გრიგალივით გადაქროლილი საუკუნეები...

პატარების გონებაში ოცნებებს ოცნებები ენაცვლება, ფანჯრებში კი კვლავ იმზირებიან ფათალოებში შეყუჟული გალავნები და ხავსიანი შემოგარენი...

ასეთია ჯიხასა და სკოლის იდუმალი კავშირი.

ამან თუ აფიქრებინა ნორჩებს წარსულის ამ დიდებული ძეგლის შეფები ყოფილიყვნენ.

სოსო სანიკიძეს, გულნაზი და იური ბალათურიებს მარცვალ-მარცვალ უგროვებიათ ზეპირგადმოცემები, უხუცეს ნაქალაქეველთა მონათხრობები.

ერთხელ ვიღაცამ ამბავი მოიტანა: ჯიხაზე უცნობი პირები ასულან და კიდეც გაუთხრიათ იქაურობაო.

ოლეგ კოშევოის სახელობის რაზმელები პირველნი გაუდგნენ უცნობთა კვალს. მათ სხვებიც მიჰყვნენ.

მიწაყრილზე თიხის ჭურჭლის ნამსხვრევები ნახეს აქა-იქ.

იმ დღესვე „სასწრაფო დახმარების ჯგუფი" ჩამოყალიბდა სკოლაში.

დაწესდა მეთვალყურეობა. ერთგვარ ნაკრძალად გამოცხადდა ნაქალაქარი.

„მალემსრბოლთა რაზმებსაც" გაუფართოვდათ სასპარეზო. სოფელში ვინც კი რაიმეს გათხრიდა, ისინიც მყისვე იქ გაჩნდებოდნენ ხოლმე, გაფაციცებულნი ელოდნენ, იქნებ რაიმე ძველი ნივთი ამოჰყვეს ბარსა და წერაქვსო.

დიდხანს არ დასჭირვებიათ ლოდინი.

ჭის ამოთხრისას ადამიანის ჩონჩხის გვერდით აქატის სამკაულები ამოთხარა თანასოფლელმა კოლმეურნემ...

მალემსრბოლებმა სკოლის დირექცია ჩარიეს საქმეში და უკლებლივ ჩაიბარეს ის ნივთები.

მერე ვიღაცამ გრიფონისმაგვარი ლოდი მოიტანა სკოლაში...

ვიღაცამ ფიქალის ფილები იპოვნა გალავნებს მიღმა...

ყოველივე ეს ერთხანს რელიქვიებივით ელაგა კარადებში.

მერე ბრინჯაოს ხმლები, ცულები, ფიწლები შეემატა „საგანძურს".

— ესენი აღარ ხუმრობენ, — სერიოზულად უთხრა დირექტორმა ისტორიის მასწავლებელს...

თვალებგაბრწყინებული შევარდა კლასში ალექსანდრე კოკაია: საავადმყოფოს ეზოს კეთილმოწყობის დროს უცნაურ აგურებს მოხვედროდა წერაქვი.

გაოცდნენ ნორჩები, ადგილზე რომ მივიდნენ. ჯერ არსად ენახათ ამგვარი რამ.

მრგვალ წიბურებზე ბზარიც ვერ დაეჩნია საუკუნეებს, მოჭიქულივით ბზინავდა ნაპოვნი. ერთ მათგანს ქათმის ნაკვალევი აჩნდა, ზოგს კიდევ — ლეკვის თათების, გოჭის ჩლიქების ანაბეჭდები... ალბათ ფრინველ-ცხოველთა სადგომის გვერდით ელაგა მეურნე-ოსტატს ყალიბებში ჩასხმული თიხა... აქვე იპოვნეს კერამიკული საოცრებაც — დოქისა თუ ხელადის ორშრიანი ფრაგმენტი. ერთი შრე წაბლისფერია, მეორე—მონაცრისფერო. როგორ დააკავშირა ოსტატმა ეს შრეები ერთმანეთს? ამაზე სპეციალისტები წაემშველებიან ნორჩ არქეოლოგებს, მანამდე კი თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან მზის გულზე შემთხვევით მოხვედრილ ნივთებს, ათეულ საუკუნეებს რომ ინახავდა მრავალჭირნანახი მიწა.

გადაწყვიტეს ნაპოვნი განძეულისთვის ერთ ადგილას მოეყარათ თავი. და აი, ერთ დღეს ხმა დაირხა: სკოლაში მუზეუმი არსდებაო!

კვლავ დალაშქრეს ნორჩებმა ჯიხას უბანი. დაბობღავდნენ ციცაბოებზე, ფოტოფირზე გადაჰქონდათ ციხისა და მისარონის ეკლესიის კედლები. ადიჩადიოდნენ ჟამთასვლით გასიპულ საფეხურებზე, იხატავდნენ, ინიშნავდნენ, ადგენდნენ სქემებს...

„მუზეუმი" — წააწერეს მერე საგანგებოდ შერჩეული ოთახის კარს.

უწყვეტი ექსპოზიციის შექმნით დაინტერესებულთა ერთი ჯგუფი გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ეწვია, ხოლო მეორე — მიხა ცხაკაიას მემორიალურ მუზეუმს.

„მალემსრბოლთა რაზმმა" ვახტანგ გაბედავას (მაცნე), რუსუდან მალანიას (მემატიანე), ზურაბ ქაჩიბაიას (მალემსრბოლი), თამაზ წოწონავას (შტაბის მეთაური) შემადგენლობით შემოიარა მარტვილის ეკლესიის შემოგარენი, ეწვია ციხე-სიმაგრე „საპონელას" და ლეგენდების ახალი ვარიანტები შემატა „მატიანეს".

მოსწავლეთა თხოვნით, ცხაკაიიდან მხატვარი დ. ბარქაია ჩამოვიდა, მან ციხე-ქალაქის მაკეტით გაახარა ნორჩი მეგობრები. ეს მაკეტი ახლა მუზეუმშია და უხმოდ მეტყველებს იავარქმნილი ქალაქის პირვანდელ სიდიადეზე.

მოპირდაპირე კედელს მოსწავლე მხატვართა ნამუშევარი — გეგეჭკორის მუზეუმში არსებულ ციხე-გოჯის სურათის ასლი ამშვენებს: ცადაწვდილ კოშკთა წვეროკინებში ღრუბლები იბლანდება, თაღოვანი გუმბათები მედიდურად გადაჰყურებს ეგრისის მიდამოებს...

მაინც არ დაცხრნენ ნორჩი ისტორიკოსები: მუზეუმი მარტო ანტიკურ ეპოქას ხომ არ უნდა მოიცავდესო.

ისევ ძიება, შეუნელებელი ძიება... და აი, ბატონყმობისდროინდელი ფოლიანტებიც გაჩნდა მუზეუმში: დადიანებისეული საქმის ქაღალდები... გლეხების— სანიკიძეების, ხელაიების „კურცხალეჩა ცრემლებითა" ვედრებანი მეფის მოხელეთადმი... მიწის ყიდვა-გაყიდვის ხელწერილები... მზითვის წიგნები... ვინ მოსთვლის!

აქვეა მეგრული სამზადის აუცილებელი საგნები: ნაჭა, კერიის ქვა, დერგ-ხალამი... ქალის სამუშაო იარაღები — ჩიჩიხი, ოფეთაში, ჩერია...

სოციალისტურ სოფელს, მის მოწინავე ადამიანებს ცალკე განყოფილება აქვს დათმობილი. არც ძველ რევოლუციონერთა, პირველ კომკავშირელთა, საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანთა საქმეები დავიწყებიათ.

ძიება გრძელდება. მატულობს მუზეუმის ფონდი...



მორიგი რადიოგადაცემა სკოლის რადიოკვანძიდან

## სანამ დაირეკებოდეს

სიწყნარეა სახელოსნოს გარეთ.

სახელოსნოში კი მყუდროებას გლობუსის ხრიალი არღვევს დროდადრო...

უხმაუროდ საქმიანობენ ბიჭები.

მთელი კვირა იმუშავეს. თენგიზ ხელმძღვანელი ხან უწუნებდათ ნამუშევარს, ხანაც — კარგიაო, იტყოდა.

ამ დილით მარტონი სცდიან ბედს.

ძილი არ მიჰკარებია მურმანს, ვეღარც იურიმ დაისვენა წუხელ.

გამოვა, როგორ არ უნდა გამოვიდეს ჩანაფიქრი, როცა ყველაფერი ზედმიწევნით არის გაანგარიშებული, გაკეთებული...

გლობუსის გარშემო მათი ხელით გაკეთებული პატარა ხელოვნური თანამგზავრი იქროლებს. და თუ ეს შეძლეს, — მაშინ არაფრად ჩააგდებენ

10.663

თვითმფრინავის მოდელს, ბესარიონ ჯავახიამ და გოგი ხურცილავამ რომ დადგეს თვალსაჩინო ადგილას.

„ჩქარა, ჩქარა, ჩქარა“. — იმეორებენ გულში მურმან ბაღუშვილი და იური ბაღათურია, უნდა მოასწრონ, გლობუსის ირგვლივ ციმციმა თანამგზავრი უნდა გაუშვან.

„ჩქარა, ჩქარა, სანამ თენგიზ ხელმძღვანელი მოვიდოდეს, სანამ ზარი დაირეკებოდეს!“...

„უთოვლო ზამთარი მთაში,
უფიქრო დღეების თქეში“ —
ბავშვურ ხელს ცისფერყდიან ალბომში ლამაზად გამოჰყავს ლერი უგულავას ლექსის სტრიქონები.

დღეს შეიკრიბება „სამსჯავრო“... ასე თქვა ციცო მასწავლებელმა.

ტრადიციად იქცა: როგორც კი „დაბეჭდავენ“ საკუთარ ნაწარმოებებს ხელნაწერ ალმანახში, მათს განხილვაზე თანატოლებს იწვევენ.

„კბილებს ილესავენ“ ნანა შალამბერიძე, ნანი ბაღათურია, მეგონა ბესელია... საპასუხოდ ემზადებიან მრავალი მოთხრობის ავტორი მიხეილ კაკულია, ნორჩი პოეტი ნანული ფაჩუაშვილი... ალმანახი კი ივსება ახალი სტრიქონებით, ჭრელდება ფურცლები.

ყვავილებს რწყავენ „მწვანე პატრულები“.

მერედა რამდენი ყვავილია აქ!

ფანჯრის რაფებზე გადმომდგარან ბეგონიები, ბალბაფოთოლები, გვირილები, გეორგინები...

ლურჯთვალა ხვიარები კედელ-კედელ აცოცებულან...

ცხრათავა კუნძების ხავსმოდებულ „დევის ხახაში“ ჩაყუჩებულან აბზინდები.

ძეწნის კალანჩხებიდან, ბლის ხის ქერქისაგან გამონაკვთული კონუსებიდან გადმოშლილან ვერცხლისფერი „ჭორიკანები“.

რამდენი პიონერიც არის აქ, ყვავილიც იმდენია...

მხატვრულ გემოვნებას, შემოქმედებითს ფანტაზიას უქებენ პატარა დეკორატორებს.

მერი ქაჩიბაია, ზოია ჭითანავა, ვლადიმერ და მადონა ბესელიები ამ დილასაც ადრე მოსულან, ძირებს უფხვიერებენ „მწვანე მეგობრებს“.

იქ კი, ეზოში, ვაშლისა და ატმის ხეივნის გვერდით, მოწყენით დგანან ვაზები, შურით გაჰყურებენ „ოქროს რთველს“ — მანდარინს კრეფენ ნორჩი ნატურალისტები.

მათემატიკის კაბინეტში გაცხარებული კამათია.

ტექნიკური ბიბლიოთეკისთვის შექენილ „კოდური და მანქანური გამოცდების სახელმძღვანელოში“ ამოკითხული აღელვებთ...

აქ არიან: ციალა ხუბუა, ლიანა ბაღათურია, ლალი შალამბერიძე, ელისო ხელაია, თენგიზ გუგუნავა.

ასეა მუდამ: ივარჯიშებენ გონებას, დავობენ, კამათობენ, მსჯელობენ, სანამ ზარი დაირეკებოდეს!...

სანიტარულ-იუმორისტული გაზეთი „გონჯი“ „ყელსახვევის ჩივილს“, „სახელმძღვანელოების მდურვას“, „მერხების სატკივარს“ აუწყებს დღეს თავის მკითხველებს. ნორჩ ავტორებს დაუნდობლად ალუნუსხავთ ზოგიერთი თანატოლის „ცოდვები“.

დოდო პიონერხელმძღვანელი ხან ერთ ჯგუფს შეაწვევს სიტყვას, ხან — მეორეს. ხატვისმოყვარულებთან უფრო დიდხანს შეყოვნდება. ახალბედა უფროს პიონერხელმძღვანელს ჯერაც არ განელებია ამავე სკოლის მერხიდან წამოყოლილი ფერწერისა და ძერწვის სიყვარული.

ნახატებთან ერთად ალბომში უხვად არის ფოტომოყვარულთა ნამუშევრებიც: „ჩვენი სოფელი“, „დილა ტბურთან“, „დედამიწა“, „მეწველის სადგომი“, „ოქროს ვერძის იალაღი“, მშობლიური მხარის ლამაზი სანახების ფოტოეტიუდები...

დიდი დასვენებისას რადიოჟურნალი ამოიდგამს ენას, ჯერ ზარმაცებს მოსდგება, შემდეგ დილანდელ ამბებს მოჰყვება და იმათ გვარებსა და სახელებს მიაყოლებს, რომელთაც ხუთიანებით დაიმშვენეს დღიურები.

... მარინე ჯიმშელეიშვილი, ანჟელინა შალამბერიძე, ლეილა ინჯგია, ნანული ფაჩუაშვილი, ნატო უგულავა, მაყვალა კოკაია... — —დიდხანს გრძელდება ჩამოთვლა.

რამდენიმე წელიც და, ამ სკოლიდან ცხოვრების დიდ გზაზე გავლენ მრავალი საქმის თაოსნები, შრომაში, სწავლაში თავგამოჩენილი ელისო ხელაია და თენგიზ გუგუნავა, ლალი და ნანა შალამბერიძეები, ნორჩი პროზაიკოსი მიხეილ კაკულია... და კიდევ სხვები და სხვები...

სკოლის ეზოში კი იშრიალებს მათი ხელით გახარებული ნარინჯები, ვაზები, კედრები, ჭადრები...

და მუზეუმიც — ეს პატარა „მატიანე“, ახალ-ახალი ექსპონატებით გამდიდრდება...

პიონერთა ახალი ცვლა ღირსეულად განაგრძობს ცხაკაიას რაიონის ნაქალაქევის საშუალო სკოლის ახლანდელ პიონერთა მიერ დაწყებულ სასახელო საქმეებს.

გვჯერა, რომ ასე იქნება!



ქიმიის კაბინეტში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რენესანსის ქანდაკება

კიტი მაჩაბელი

ტერმინი „რენესანსი“ (ფრანგულად — „აღორძინება“) ახალი დროის ხელოვნების აღსანიშნავად პირველად იტალიელ მხატვართა ცხოვრების აღმწერელმა ვაზარიმ იხმარა (XVI საუკ.). შემდეგში ეს ტერმინი XV-XVI საუკუნეების მთელ იტალიურ ხელოვნებაზე გავრცელდა.

რენესანსი განვითარდა იტალიაში, გერმანიაში, ნიდერლანდებში (XV ს.), საფრანგეთში (XV-XVI სს), ინგლისში (XVI-XVII სს.), მაგრამ სრულყოფილი სახე მან იტალიაში მიიღო. რენესანსმა იტალიაში რამდენიმე ეტაპი განვლო; ეს ეტაპებია: პ რ ო ტ ო რ ე ნ ე ს ა ნ ს ი (აღორძინების წინა პერიოდი, XIII საუკუნის ბოლო და XIV საუკუნე, როდესაც საკუთრივ აღორძინებას ჩაეყარა საფუძველი), რ ე ნ ე ს ა ნ ს ი, რომელიც იყოფა ადრეულ რენესანსად, მაღალ რენესანსად და გვიანი დროის რენესანსად.

აღორძინების ხანის თითქმის სამი საუკუნის მანძილზე იტალიამ მსოფლიო ხელოვნებას ქანდაკების კოლოსალური რაოდენობა შესძინა. ეს არ იყო მხოლოდ რაოდენობრივი ზრდა. ანტიკური პერიოდის შემდეგ, ათას წელზე მეტი ხნის მერე, ქანდაკება კვლავ დამოუკიდებელი სახით აღსდგა, თავი დააღწია შუასაუკუნეების არქიტექტურის შემბოჭავ ძალას. ქანდაკების სფერო გაფართოვდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა თავისუფლად მდგომ ქანდაკებას. ტრადიციულ მხატვრულ სახეებთან ერთად, რომლებიც ქრისტიანულ რელიგიასთან, ანტიკურ მითოლოგიასთან იყო დაკავშირებული, ქანდაკების ინტერესების სფეროში ხვდება ადამიანი. ამის გამოა, რომ აღორძინების ეპოქაში განსაკუთრებით ხშირია მმართველების, სარდლების მონუმენტური ქანდაკებები, სკულპტურული პორტრეტები ბიუსტის სახით, სრულიად განსაკუთრებულ სახეს იღებს რელიეფი. იგი სრულყოფილად ასახავს ადამიანს მთელი მისი გარემომცველი სამყაროთი.

პროტორენესანსის ქანდაკება დაკავშირებულია იტალიელი მოქანდაკეების — ნ ი კ ო ლ ო პ ი ზ ა ნ ო ს, ა რ ნ ო ლ ფ ო დ ი კ ა მ ბ ი ო ს და ჯ ო ვ ა ნ ი პიზანოს სახელებთან. ამ ძალზე ორიგინალურმა მოქანდაკეებმა დაგმეს ქანდაკების ძველი კანონები და საფუძველი ჩაუყარეს ახალი იტალიური პლასტიკის განვითარებას.

ნ ი კ ო ლ ო პ ი ზ ა ნ ო ს (1220-25 — 1278) ქანდაკებებში იგრძნობა რომაული პლასტიკის გავლენა. ნიკოლო პიზანომ ქ. პიზის ბაპტისტერიუმში (სანათლავში) აღმართა კათედრა, რომელიც იტალიური ქანდაკების განვითარებაში უმნიშვნელოვანესი ძეგლია. შვიდ სვეტზე დაყრდნობილი ორიგინალური არქიტექტურული ნაგებობა სკულპტურული გამოსახულებებით იყო დაფარული. ფიგურათა გადმოცემა, ზედაპირის დამუშავების ტექნიკა გვიანრომაულ რელიეფის კარგ ცოდნას ამჟღავნებს.

პროტორენესანსის ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი იყო ა რ ნ ო ლ ფ ო დ ი კ ა მ ბ ი ო. მისი საუკეთესო ნაწარმოებია დეკორაციული ფიგურები ქ. პერუჯის მთავარი მოედნის შადრევნისათვის. რთულ მოძრაობაში მოცემული ეს ფიგურები არაჩვეულებრივი სიცოცხლითა და სხეულის ფორმების გადმოცემის ოსტატობით გამოირჩევა.

ნიკოლო პიზანოს ვაჟი ჯ ო ვ ა ნ ი პ ი ზ ა ნ ო (1245-1320) განსხვავდება თავისი თანამედროვეებისაგან. მან ბევრი იმოგზაურა. საფრანგეთში ყოფნის დროს გუთური ხელოვნებით მოიხიბლა და მისი გავლენის ქვეშ მოექცა. ამ მოქანდაკის მიერ შესრულებული მადონებისა და წინასწარმეტყველების ფიგურები ხასიათდება დაგრძელებული პროპორციებით, სხეულის კუთხოვანი მოძრაობით, გუთური ქანდაკებისთვის ტიპობრივი მიმოხვრით.

ჯოვანი პიზანოს ხელოვნებით დასრულდა იტალიური პროტორენესანსის ქანდაკების განვითარება. ჯოვანი პიზანომ ერთი მხრივ გაამდიდრა იტალიური ქანდაკება განსაკუთრებული ემოციურობით, ახალი მხატვრული სახეებით, სივრცობრივი ძიებებით, მაგრამ, მეორე მხრივ, მის მიერ გუთური ხელოვნების ელემენტების შემოტანამ ქანდაკების შემდგომი განვითარება შეაფერხა XV საუკუნის დასაწყისამდე.

XV საუკუნის დასაწყისისათვის აღორძინების ხელოვნების კერა ქალაქი ფლორენცია იყო. სწორედ ამ ქალაქში ჩაეყარა საფუძველი რენესანსის ხელოვნების ყველა დარგის განვითარებას. ამ მხრივ განსაკუთრებულად ხელსაყრელი იყო ტოსკანაში მედიჩების საგვარეულოს მმართველობის ხანა. მედიჩები მფარველობას უწევდნენ ხელოვნებას და ხელს უწყობდნენ მის განვითარებას.

XV საუკუნეში ქანდაკება ერთ-ერთ მოწინავე ხელოვნებად იქცევა. მოქანდაკეები წლების განმავლობაში იზრდებოდნენ სამხატვრო სახელოსნოებში, სადაც საუკეთესო ტექნიკურ მომზადებას იღებდნენ. ამ პერიოდში ქანდაკებისათვის ყველაზე გავრცელებული მასალა ქვა იყო, უფრო ნაკლებად ბრინჯაოს იყენებდნენ, იშვიათად კი — ხეს. ქანდაკებაში ხშირად იხმარებოდა ფერი.

XV საუკუნის ქანდაკების ჩამოყალიბებისათვის დიდად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 1401 წელს ფლორენციაში გამოცხადებული კონკურსი ბაპტისტერიუმის ბრინჯაოს კარების შესამკობად. კონკურსმა ბევრი ნიჭიერი მოქანდაკე გამოავლინა. ტრადიციული თემა „აბრამის მიერ ისაკის მსხვერპლად შეწირვა“ თვითეულმა

# მსოფლიოს პოეტები დედაზე

თარგმნა მორის ფოცხიშვილმა.

* * *

ნაზი დედების ალერსი, მათი ფხიზელი გული,—
პირველი სკოლა, ნაქები ბრძენთაგან, მარად მზიანი,
ყველაზე უფრო წმინდა, ყველაზე მეტად ბრძნული,
რომლის გარეშე ამ ქვეყნად არ აღიზრდება ადამიანი.

**აბულყასიმ ლაჰუთი,**
ტაჯიკი პოეტი.

## ბატები

ნისლი და ნისლი... შორი გზის ნისლი...
სადღაც ბატების ყიყინი ისმის...

რა გაექცევა მწუხარე ფიქრებს,
იქნებ... ო, დედა მეძახის იქნებ.

ჭრაქს არ აქრობს და... მიცდის და მნატრობს,
მე კი ძალიან შორსა ვარ ამ დროს.

შორსა ვარ... ჩემივ გულისთქმას ვისმენ...
და ყიყინებენ ბატები ისევ.

და გული უცებ ივსება შვებით,
თითქოს ამ ხმებმა შეასხეს ფრთები.

ერთი ათასჯერ შესცდება მაინც
ადამიანი ცხოვრების გზაზე,
ვიდრე, ო, ვიდრე გაიგებს ქვეყნად
რად ყიყინებენ ბატები ასე.

დედაა წყარო ამ აღმოჩენის.

**პავოლ გოროვი,**
ჩეხოსლოვაკელი პოეტი.

მონაწილემ თავისებურად გადაწყვიტა. სწორედ ამ კონკურსზე გამომჟღავნდა ახალი დროის გამოჩენილი მოქანდაკის ლორენცო გიბერტის ნიჭი. გიბერტის მიერ შესრულებული რელიეფები მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალობით და რელიგიური თემისადმი სრულიად ახალი, თავისებური მიდგომით გამოირჩეოდა. გიბერტიმ კარგად გადაწყვიტა სცენის კომპოზიციური აგება, მისი რელიეფები ხასიათდებოდა რბილი და მოქნილი ხაზებით. ამიტომ იყო, რომ მოქანდაკეთა ახალი თაობის ამ წარმომადგენელს მიანდეს ბაპტისტერიუმის კარების შემკობა რელიეფებით. გიბერტის ამ ნამუშევარში განსაკუთრებული ძალით ვლინდება რენესანსული ნიშნები. გიბერტის რელიეფებში ფიგურები შესანიშნავად არის შესრულებული, კარგად არის გადმოცემული სხეულის ანატომიური აგებულება, ყურადღებას იქცევს პეიზაჟი და არქიტექტურული ფონი, სადაც მოქანდაკის დაუშრეტელი ფანტაზია მჟღავნდება.

აღორძინების ხანის ქანდაკების უდიდესი ოსტატი იყო დონატელო (1386-1466). იგი ქანდაკების ჭეშმარიტ რეფორმატორად უნდა ჩაითვალოს. დონატელომ რთული და ძალზე საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო. მის შემოქმედებაში ჩაეყარა საფუძველი ქანდაკების ძირითადი ჟანრების შემდგომ განვითარებას — მონუმენტურ, თავისუფლად მდგომ ქანდაკებას, მხედრის მონუმენტს, რელიეფურ პლასტიკას. დონატელო თითქმის ყველა ჟანრში პიონერად გვევლინება. მისი ბრინჯაოს „დავითი“ რენესანსის ეპოქაში პირველი შიშველი ფიგურაა. ქალაქ პადუაში აღმართული, ცხენზე ამხედრებული სარდლის გატამელატას ქანდაკება ამგვარი ტიპის პირველი ძეგლი იყო აღორძინების ხანის ხელოვნებაში. თავის სხვა ქანდაკებებშიც — ფლორენციის სამრეკლოს ნიშებში დადგმულ ფიგურებში, ნიკოლო უძანოს პორტრეტში, რელიეფებში — დონატელო განამტკიცებს ქანდაკების ახალ პრინციპებს, იძლევა გამოსახულ პიროვნებათა შესანიშნავ, პლასტიკურ სახეებს, თავისუფლად და რბილად ძერწავს ფიგურებს.

ამავე პერიოდში მოღვაწეობს ნიჭიერი იტალიელი მოქანდაკე ჯაკოპო დელა კვერჩა (1374-1438). მის მიერ ქ. ბოლონიის ტაძრისათვის შექმნილ რელიეფებში თითქოს უკვე მიქელანჯელოსეული ძალისა და დრამატიზმის ჩანასახი იგრძნობა, იმდენად მეტყველია მისი სკულპტურული სახეები, იმდენად ძლიერია მათი პლასტიკური გამომსახველობა. რელიეფების მასალა რუხი ქვაა.

XV საუკუნის ბოლოსათვის ფლორენცია ინარჩუნებს თავის უპირატეს ადგილს ხელოვნების განვითარებაში. ფლორენციის მოქანდაკეთა მეორე თაობა მაშინ იწყებს მოღვაწეობას, როცა უკვე შექმნილია ტოსკანის საუკეთესო ძეგლები და უკვე არსებობს რეალისტური ხელოვნების განვითარების საფუძვლები. ახალი ოსტატები ცდილობენ გაამდიდრონ სახელოვან წინამორბედთა მიღწევე-

## დედიკოს, შენთან

საყვარელო დედა, სანატრელო დედა,
როცა ატირებულს და სევდიანს გხედავ,
გული ველარ მიძლებს, რა ვქნა, აღარ ვიცი,—
შენი ცეცხლით ვიწვი, შენი ცრემლით ვიწვი...

გაგითეთრდა ერთობ გიშრისფერი წნული,
შვილის სიყვარულში დაგფერფვლია გული.

შენი შესაფერი ვერაფერი მითქვამს —
უძლურია ალბათ ყველა დიდი სიტყვა.

ჩემი გულის რვეულს შენზე ფიქრით ვწერდი,
შენი შუქით ბრწყინავს მისი ყველა გვერდი.

მზრდიდი, როგორც იმედს, გრანიტივით მთლიდი,
მომავლისკენ მშვიდად გამდე, როგორც ხიდი.

ჩემს თვალებში ახლაც შენს ოცნებას ავლენ,
ცოტა კიდევ, ბედი გაგვიმართლებს მალე!

**შახნაზ ელამი,**
სპარსელი პოეტი.

## მადლიერების სიმღერა

ათასი ვინმეს ვარ მადლიერი,
მაგრამ, ო, დედავ, ახლა ამ გულით
ზვავად დაძრული ზღვა სიყვარული,
შენ ერთს გეკუთვნის საბედნიეროდ.

შენი სინაზით, სიმშვენიერით
იყავ ყვავილი სულში დარგული,
რამ დამავიწყოს მზე შემიერი,
მზე სიკეთისა და სიხარულის.

მე გავიზარდე,—ტკბილი ბავშვობა,
როგორც სიზმარი, გულს გადაშორდა,
მაგრამ მინთია სახე მზიერი.

ყველაფრისათვის, რაც მომანიჭე,
მამულში თრთოლვით რომ დავაბიჯებ,
დედიკო, დედა, ვარ მადლიერი!

**იოჰანეს ბეხერი.**
გერმანელი პოეტი.

ბი, მაგრამ ბევრ რამეში ველარ უტოლდებიან მათ. ქანდაკების განვითარება ფორმების მეტი დახვეწისა და შერბილების გზით წარიმართა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია დ ე ლ ა რ ო ბ ი ა ს ოჯახის მოქანდაკეთა წვლილი. მათმა წარმომადგენელმა ლ უ კ ა დ ე ლ ა რ ო ბ ი ა მ სახელი გაითქვა, როგორც ლირიკული და ნაზი მადონების შემქმნელმა. მის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ აღორძინების ხანის ახალი ტიპის ქანდაკების შექმნა — მაიოლიკის (ჰიქურის) ტექნიკის გამოყენება ქანდაკებაში. ჰიქურით შესრულებული ფერადოვანი რელიეფური მედალიონები ძალზე გავრცელდა იტალიაში.

ფლორენციაში მოღვაწეობდნენ აგრეთვე ცნობილი მოქანდაკეები: ა ნ ტ ო ნ ი ო პ ო ლ ა ი ო ლ ო და ა ნ დ რ ე ა ვ ე რ ო კ ი ო. ეს უკანასკნელი მედიჩების კარის მთავარი მოქანდაკე იყო. ვეროკიოს — ფართო დიაპაზონის ფერმწერის, მოქანდაკისა და ოქრომჭედლის — სახელოსნო ფლორენციის მხატვრული ცხოვრების ცენტრი იყო. 1476 წელს მან შეასრულა ჭაბუკი დ ა ვ ი თ ი ს ბრინჯაოს ქანდაკება, რომელშიც გამოამჟღავნა ფორმების ერთგვარი დახვეწისაკენ, გარეგნული ეფექტებისაკენ მისწრაფება, რაც დამახასიათებელი ხდება XV საუკუნის დასასრულის ხელოვნებისათვის.



ნიკოლო პიზანო. რელიეფი. ბაპტისტერიუმის კათედრალი. ქ. პიზა.

**1479-1488** წლებში ვეროკიო მუშაობდა ვენეციელი კონდოტიერის ბარტოლომეო კოლეონის ცხენოსანი ქანდაკების შექმნაზე. მხედრის სახე დაუდგრომელ ძალასა და მრისხანებაზე მეტყველებს, კარგად იგრძნობა დიდი დაძაბულობა, ექსპრესია. სიბრტყეებით გამოძერწილ, შინაგანი ძალითა და მშვიდი სიდიადით გამსჭვალულ დონატელოს მხედრისაგან განსხვავებით, ვეროკიოს მხედარი უფრო მშრალია და ცივი, ვეროკიოს ამ ქანდაკებაში გამოძახილი ჰპოვა XV საუკუნის დასასრულს ფლორენციის ხელოვნებისათვის დამახასიათებელმა საერთო დაქვეითებამ.

აღორძინების ხელოვნებაში უდიდესი მნიშვნელობისაა XV-XVI საუკუნეების მიჯნა. ეს პერიოდი, მაღალ რენესანსად იწოდება. მაღალი რენესანსის ხელოვნება ზედმიწევნითი მთლიანობით, ამავე დროს ცალკეულ შემოქმედთა ინდივიდუალური ნიჭის უდიდესი თავისებურებებით ხასიათდება. და თუმცა რენესანსის ეპოქაში უამრავი მოქანდაკე მოღვაწეობდა, მაინც ქანდაკების მთელ შემდგომ განვითარებას განსაზღვრავს პლასტიკის გენიის — მიქელანჯელოს ტიტანური პიროვნება. იგი მთელი თავით მაღლა დგას თავისი დროის ყველა მოქანდაკეზე. ქანდაკების ისტორიაში მისი ღვაწლი იმდენად დიდია, რომ მას ვერ შეედრება მოქანდაკეთა მთელი თაობის ნამოღვაწარი. მიქელანჯელო ქანდაკების განვითარების მთელი ეპოქაა. არაჩვეულებრივი ნაყოფიერებით გამოირჩევა მისი ხანგრძლივი შემოქმედებითი გზა, რომელიც შვიდ ათწლეულზე მეტს ითვლის.

მიქელანჯელო გატაცებული იყო თავისი დროის მოწინავე ფილოსოფიური მიმდინარეობით. ამიტომ ყოველ მის ნაწარმოებს ღრმა განცდებისა და აზროვნების დაღი ატყვია.

ადამიანი — იტალიური აღორძინების ხელოვნების ძირითადი თემა იყო, მაგრამ მიქელანჯელომ ეს რენესანსული იდეალი უმაღლეს წერტილამდე აიყვანა. მას მხოლოდ ადამიანი აინტერესებს და ამიტომ არის, რომ იგი ხელოვნების სხვა დარგებიდან უპირატესობას ქანდაკებას ანიჭებს. მიქელანჯელოს აზრით, სწორედ ქანდაკება იძლევა ადამიანის საუკეთესოდ გამოსახვის ყველაზე მეტ საშუალებას. თავის ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებშიც იგი მოქანდაკედ გვევლინება.

მიქელანჯელო დაიბადა **1475** წელს ქ. კაპრეზში (ფლორენციის მახლობლად). თავდაპირველად იგი ცნობილი მხატვრის დომენიკო გირლანდაიოს სახელოსნოში სწავლობს, შემდეგ კი ლორენცი მედიჩის მიერ დაარსებულ სამხატვრო სკოლაში გადადის, სადაც დონატელოს ერთ-ერთი მოწაფის ხელმძღვანელობით ქანდაკების ხელოვნებას ეუფლება. მიქელანჯელოს პირველივე სკულპტურულ ნაწარმოებებში ჩანს მკაფიო, თავისებური ნიჭის მოქანდაკე. მისი ადრეული რელიეფი — „მადონა კიბესთან“ — დიდებული, მონუმენტური სახეა. ფორმის პლასტიკური მოდელირება ბევრით არის დავალებული ანტიკური რელიეფებისაგან.

მეორე ადრეული ნაწარმოები — „კენტავრების ბრძოლა“ — **17** წლის ჭაბუკის მიერ არის შესრულებული. არაჩვეულებრივი თამამი და რთული კომპოზიციური აგება, ბრძოლის დრამატიზმის ოსტატური გადმოცემა მოქანდაკის იშვიათი ნიჭით არის აღბეჭდილი. ამ ადრეულ რელიეფში უკვე ჩანს ის ძირითადი მოტივები, ის ძირითადი ხერხები, რაც შემდეგში, მთელი შემოქმედების მანძილზე, თან დაჰყვება მიქელანჯელოს ქმნილებებს.

**XV-XVI** საუკუნეთა მიჯნაზე მიქელანჯელო ჰქმნის თავის ცნობილ სკულპტურულ ჯგუფს „პიეტას“ („შეწყალება“), სადაც იგი უდიდეს ოსტატად გვევლინება, როგორც კომპოზიციურ აგებაში, ისე ფსიქოლოგიური დრამატიზმის გადმოცემაში. ფლორენციის მმართველთა დავალებით, მიქელანჯელო მარმარილოს გიგანტური ლოდიდან იწყებს „დ ა ვ ი თ ი ს“ ქანდაკების გამოკვეთას. **1504** წლისათვის დავითის ხუთმეტრიანი ფიგურა მზად იყო. დიდი ბჭობის შემდეგ, ქალაქის გამოჩენილ მხატვართა კომისიამ გადაწყვიტა, იგი მთავარ მოედანზე, საქალაქო საბჭოს წინ დაედგათ, როგორც სიმბოლო სამართლიანი და ვაჟკაცური მმართველობისა.



ვეროკიო—კოლეონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვეროკიო—დავითი

1505 წელს რომის პაპმა იულიუს მეორემ მიქელანჯელო რომში გამოიძახა და ბრწყინვალე სამარხის აგება დაავალა. მოქანდაკემ რამდენიმე თვე დაჰყო მარმარილოს საბადოებში, რომ თავისი ქანდაკებისათვის თვითონვე შეერჩია მარმარილო. მაგრამ სამარხის აგება გადაიდო და მხოლოდ იულიუს II სიკვდილის შემდეგ განხორციელდა ეს გეგმა. თუმცა უფრო პატარა მასშტაბით. ამ სამარხისათვის შექმნა მიქელანჯელომ ქანდაკებები: „მოსე“ და „მონები“. ბიბლიური გმირის — მოსეს სახით მოქანდაკემ არაჩვეულებრივად ძლიერი სახე შექმნა ბრძენი ადამიანისა. მონების ფიგურები დაუმთავრებელი დარჩა. მაგრამ ასეთი სახითაც ისინი უაღრესად შთამბეჭდავია. მათში განსახიერებულია თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანის მედგარი გაბრძოლება.

მიქელანჯელოს გრანდიოზული ნაწარმოებია „მ ე დ ი ჩ ი ს კ ა პ ე ლ ა ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა შ ი“. მან თვითონ დაასრულა ამ ნაგებობის მშენებლობა და თვითონვე შეამკო იგი ქანდაკებებით. ნიშებში მოთავსებულია მედიჩის საგვარეულოს წარმომადგენელთა ქანდაკებები: ჰერცოგების — ჯულიანოს და ლორენცოს მჯდომარე, ფიგურები.

სამარხების წინ მოთავსებულია სარკოფაგები. მათ სახურავებზე წყვილ-წყვილად არის განლაგებული ალეგორიული ფიგურები: „დღე“ და „ღამე“, „დილა“ და „საღამო“. ფიგურები თითქოს ეს-ეს არის უნდა ჩამოცურდნენ სარკოფაგების სახურავებიდან, რაც დაძაბულობის შთაბეჭდილებას აძლიერებს. ყოველ ფიგურაში ღრმა აზრი და ფიქრია ჩაქსოვილი.

მიქელანჯელოს უკანასკნელი ქმნილებაა „რ ო ნ დ ა ნ ი ნ ი ს პ ი ე ტ ა“, რომლის დამთავრება მას აღარ დასცალდა. მაგრამ დაუმთავრებელიც კი უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ტრაგიკული და სასოწარკვეთილი სახით.

1564 წლის 18 თებერვალს შეწყდა დიდი მოქანდაკის ხანგრძლივი და მშფოთვარე სიცოცხლე.

მიქელანჯელოს ცხოვრება, მისი შემოქმედება საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რა განუსაზღვრელი შესაძლებლობები გააჩნია ადამიანის ნიჭს. მიქელანჯელო რეალისტური ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელია და ევროპის ხელოვნების ისტორიაში ძნელად მოიპოვება სხვა ხელოვანი, რომლის შემოქმედებასაც ასეთი დიდი რეზონანსი ჰქონოდა.

მიქელანჯელოს შემოქმედება ქანდაკების დარგში აღორძინების ეპოქის მიღწევათა ერთგვარი შეჯამებაა. ამით დასრულდა მსოფლიო ხელოვნების, კერძოდ, ქანდაკების ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპოქა — რენესანსი, რომლის მიღწევები საუკუნეთა განმავლობაში განაგრძობს არსებობას.



ბ. ბელინსკი: ყოველგვარი ღირსება, ყოველგვარი ძალა მ შ ვ ი დ ი ა, სწორედ იმიტომ, რომ დარწმუნებულია თავის თავში.

ვ. ი. ლენინი: უნდა გვქონდეს საკუთარი ძალების რწმენა...

ა. მაკარენკო (საბჭოთა პედაგოგი და მწერალი): მამაცი ის კი არ არის... ვისაც არ ეშინია; მამაცი ის არის, ვისაც შეუძლია თავისი სიმხდალის დაძლევა. სხვანაირი სიმამაცე არც შეიძლება არსებობდეს. თქვენი ფიქრით, ტყვიებისა და ყუმბარების წვიმაში ბრძოლის ველზე სასიკვდილოდ გასვლა იმას ნიშნავს, რომ არაფერს არ განიცდიდე, არაფრის არ გეშინოდეს? არა, ეს სწორედ იმას ნიშნავს, კიდეც გეშინოდეს, კიდეც განიცდიდე და შიშის დათრგუნვაც შეგეძლოს.

შ. რუსთაველი:
ხამს, მამაცი გაგულოვნდეს,
ჭირსა შიგან არ დაღონდეს.

სენეკა (ჩვ. წ.-მდე I საუკ. რომაელი ფილოსოფოსი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე): მხოლოდ თავის დროზე გამოჩენილი სიმამაცეა ქების ღირსი.

მ. სერვანტესი (XVI-XVII საუკ. ესპანელი მწერალი): გამბედაობას, რომელიც წინდახედულებას არ ემყარება, უგუნურება ეწოდება, უგუნურის გმირობა კი უბრალო იღბალს უნდა მიეწეროს უფრო, ვიდრე სიმამაცეს.

ი. ჭავჭავაძე:
ამოწვდილს ხმალსა მტრისასა
წინ მიაგებე ფარიო:
დროზედ ნახმარი ფარიცა
იგივე ხმალი არიო.

ვაჟა-ფშაველა:
ჭირში ყოფნის დროს გაძლება
მუდამ ვაჟკაცის წესია!



# თოვლიანი ზამთარი

კარლო კობერიძე

მხატვარი სპარტაკ ცინცაძე

მესამე დღეა ბარდნის, გარეთ აღარ გაისვლება — კაცი წელამდე ეფლობა თოვლში. ირგვლივ თვალის დამღლელი სითეთრეა. წეღანაც გადავთოვლე სახურავი, მაგრამ ისევ ჭრიალი გაუდის თავხესა და კავებს. კიბესთან დაყუდებულმა ლეღვმა აივნის მოაჯირზე ჩამოაწყო ტოტები. მობუზული ბეღურები ხეებზე ფეხს ვეღარ იკიდებენ და ჩვენს აივანზე დაჟივჟივებენ. ხანდახან მარანში შევირბენ ხოლმე, ქათმებს საკენკს ვპარავ და იმით ვაპურებ ბეღურებს; გუშინწინ დამინახეს და ჟივილ-ხივილით შეეფინენ ცას, გუშინ — აივნის კუთხეში მიფრინდნენ, დღეს კი ისე გამიშინაურდნენ, სხედან და მიყურებენ, აბა რას დაგვიყრისო.

მანქანები აღარ დასრიალებენ გზაზე, აღარც მურია ჰყეფს მოაჯირის ღრიჭოდან, — ერთხელ ლეკვი გაუსრისეს და მას შემდეგ მარტო მანქანებს ემტერება.

ალუბლებში გაჩხერილი კუნელი აღარ იხუნძლება ჰოჭახჭახე შაშვებით. ახლა საბძელს ეტანებიან შაშვები, საბძელსა და თავზე ვედროდამხობილ სათივეს. ჩხართვები კი ფითრიან მსხალს შერჩნენ — ქვემოდან აფრინდებიან ფითრსა და გაჯახირებით კენკავენ თეთრ მძივებს.

ოთახში თბილა, წითლად ვარვარებს ღუმელი. სკამების საზურგესა და საწოლის თავზე გადაფენილ სარეცხს თეთრი ორთქლი ეგლისება. დედაჩემი მთელი დღეა ჩემს ძველ პალტოს უტრიალებს, იქნებ გამოდნეს რამე და სიგრძე-სიგანეში მოუმატოს. ბებია ტახტზე მოკეცილა, თითისტარი თიხის ჯამში ჩაუშვია — მატყლს ართავს, წინდა უნდა მომიქსოვოს. მე შეშა დავჩეხე, კიბის ქვეშ შევზიდე და ახლა ღუმელს ვეხუხები.

— სამფეხა მიიდგი, შვილო, — მეუბნება ბებია, — უფრო მარჯვედ მიეფიცხები.

— ეჰ, აღარ გამოიარა ნოდარამ, — ჩემს ბიძაშვილზე ამბობს დედაჩემი, — ჭიანი ბიჭია და ხომ არაფერი დაეტაკა!

სამფეხა მივიდგი, დავჯექი და ვუთხარი:

— არ გამოივლის.

— შენ რა იცი?

— ალბათ ვიცი.

— აწყენინებდი რამეს. — მეუბნება ბებია.

— კნუტი მოისროლა თოვლში. მაშინვე ამოვიყვანე. რატომ ამოიყვანე, მინდოდა მენახა, როგორ აფხლაკუნდებოდაო. ცოდოა-მეთქი. ხელიდან წამგლიჯა კნუტი და ისევ გადააგდო. ისევ ამოვიყვანე. მერე, წართმევა რომ დამიპირა, გავარტყი და გამარტყა...

დედაჩემს არაფერი უთქვამს, ისევ მოირგო სათვალე, ნემსი გამოიძრო კაბის საყელოდან, მაქოს ძაფი შეაწყვიტა. ვუყურებ და გუნებაში ვამბობ, ნეტავ, ვიდრე ასამდე დავთვლი, მანამდე თუ მაინც გაუყრის-მეთქი. ასე თუ ისე, ააგებს ძაფს, მერე სათვალეს მოიხსნის, სახელოს გაუსვამს მინებს და მაშინ მეტყვის, რატომ არ მომეხმარეო.

ბებიამ თიხის ჯამი აიღო, თითისტარიანად გადადგა გვერდზე და მკითხა:

— ვითომ ეგრე იყო, დავიჯერო?

— არა გჯერა და, იმასა ჰკითხე.

— ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა! — შეწუხდა დედაჩემი, — მობრძანდეს აქა!

ბებიამ ამოიოხრა, ნაღვლიანად მომაჩერდა და დაიწყო:

— ეს ამბავი, ახლა რომ მოგიყვები, დიდი ხნის წინათ მოხდა. ათისა თუ ვიქნებოდი. მას შემდეგ სამოცდახუთ ზამთარს კიდევ გამოვაღწიე, მაგრამ იმ წელიწადს რომ ჩამობარდნა, ტყუილია, იმის მსგავსი არაფერი მინახავს. მაღალი ხეები თოვლში ყელამდე ჩაეფლნენ, ბუჩქები და ბარდები თვალსა და ხელსშუა წაიშალა. რუები თოვლქვეშ მოჩხრიალებდნენ, წყაროები თოვლქვეშ მირაკრაკებდნენ, ალაზანიც თოვლქვეშ მიბუტბუტებდა. მოყინულ მიწას დაათოვა და იმიტომაც დადო აუღებლად. რაღა ბევრი ვილაპარაკო, მოსაწყენი დღეები დაიჭირა. სხვა რა უნდა გვეღონა, ვისხედით ბუხართან და რიგრიგობით ვყვებოდით ზღაპარს გოგო-ბიჭებიცა და მეხრე-გუთნისდედებიც. შემოგველეოდა ზღაპარი და თავიდან ვიწყებდით. მერე, ისიც რომ შემოგველეოდა, ყურმოკრულ ამბებსა და ჭორებზე გადავდიოდით. ამისთანა უბედური ზამთარი მოგვიხტა. იმ დროს ჩვენს მეზობლად ერთი კაცი ცხოვრობდა, მახარე ერქვა. სავსე იყო შვილებით. მიწის მადლი და ყადრი იცოდა და, აკი ქვევრ-ბეღელიც სავსე ჰქონდა მონაგარით. მახარესთანა მოვლილი საქონელი არავის დაუდიოდა მთელ ამ არე-მარეზე. ზამთარში შეშა-ფიჩხზე დადიოდა, გაზაფხულზე გუთნის ტარს ეჭიდებოდა, ზაფხულში — ნამგლის ტარს, შემოდგომაზე — დოვლათის დაბინავება და მერე ისევ გუთნის ტარი. თავგადაკლული მონადირეც გახლდათ. იცოდა მახარემ, როდის რაზე უნდა ენადირა. ირმის მყვირალობისას თოფს აღარ გაეკარებოდა; სადაა ბაჭიები მოგვიმრავლ-

დებიანო და, თავის დროზე არც კურდღელს იმეტებდა სათოფედ... კეთილ კაცს ოჯახიც კეთილი ჰქონდა. ახლა საქონელს აღარ იკითხავთ? იმის ხარებს არასოდეს გაუმრუდებიათ გუთნის კვალი, ცხენები ვაზის რქას არ წატანებიან.

ერთადერთი უმცროსი ძმა ჰყავდა მახარეს, ლევანას ეძახდნენ. ისიც სავსე იყო შვილებით, დოვლათითა და ბარაქით. იმათი სანაქებო ძმობის ამბავი ზღაპარივით დადიოდა ქვეყანაზე. ჭირსაც ერთად იყოფდნენ და ლხინშიაც უერთმანეთოდ ვერ ნახავდით. ეგრე სიამტკბილობით ცხოვრობდნენ ძმები, მაგრამ იმ თოვლიან ზამთარს, ბალახივით ჩუმი და უწყინარი მახარე, სამუდამოდ დაეუმძრახა ლევანას. მთელი სოფელი ჩაერია და ვერავინ მოახერხა შერიგება.

როგორც გითხარი, მაშინ უფრო დიდი თოვლი იყო. ლეკის მთაზე აგორებული ზვავის გუგუნი აქამდე აღწევდა. ირმებმა და შვლებმა იციან, თოვლს გადაქექავენ და ისე შოულობენ საზრდოს — ხმელ ფოთოლსა და ხმელ ბალახს. მაგრამ იმოდენა თოვლს რა გადახვეტავდა?! ამ დროს ფრინველები იოლად გადიან, გადახურულ ღიჭის ბარდში შეძვრებიან და იქ იქექებიან ნეშოში, ჭიაღუასაც შოულობენ და ღიჭის მარცვლებსაც.

მახარეს ძველი ადათ-წესი ჩვევად მოსდგამდა: ვიდრე ფრინველ-საქონელს არ მიხედავდა, ვიდრე ჯერ იმათ არ აჭმევდა, ლუკმას არ ჩაუშვებდა პირში.

დილა იყო, დედამ საციქვლის სათხოვნელად გამგზავნა მახარეანთსას. მახარეს ცოლს სუფრა გაეშალა, ყველანი მაგიდას უსხდნენ: დიდები ცალკე, წვრილფეხობა — ცალკე. მახარე კი ისევ ბუხართან იჯდა, ალბათ იმაზე ფიქრობდა, როდის დაჯდება თოვლი, სათარზე როდის წავალო. ცოლმა რომ უთხრა, ადე, ისაუზმეო, მახარემ თავი ასწია და უფროს შვილსა ჰკითხა:

— ბიჭო, გოგია, ხარებს თივა ჩამოუყარე?

— მაგას რა დამავიწყებდა!

— ძროხებს ჩაუშალე ფუჩეჩი?

— მაშ!

— ცხენს ქერი ხომ არ დააკელი?

— სხვა დროს დამიკლია რო!

მახარე ახლა ცოლს მიუბრუნდა:

— ქათამ-ინდაურს დაუყარე საკენკი?

— მაშ აქამდე რას ვაკეთებდი!

— ღორებს დაუდგი სალაფავი?

— იგრე დაძღნენ, ველარ სუნთქავენ!

— მურია ხომ არ დაგრჩა მშიერი?

— აბა რას ამბობ?!

— მართლა საუზმობის დროს ყოფილა! — ჩაილაპარაკა მახარემ და საჩეხში გავიდა, ხელებს გადავიბანო. მეც, საციქვლით ხელში, გარეთ გამოვედი. სათივესკენ გავიხედე და რას ვხედავ! — ნაშალ თივას შველი მისდგომია და მადიანად ახრამუნებს. მთლად სველია შველი, ორთქლი ასდის. მახარემ ღრმა ნაკვალევს გააყოლა თვალი, ჰოო, წიფლიანიდან ჩამოსულაო. შველი თივას ახრამუნებს მადიანად, ბოჩოლას კი თავი გამოუყვია ბოსლიდან და გაოცებული უყურებს, ვინ არის და საიდან მოსულაო. საჩეხის სვეტზე გამობმული მურიაც ხედავს შველს და ხმას არ იღებს, აბა ერთი სხვისი საქონელი შემოსულიყო? —. იქაურობას აიკლებდა.





მურის გადახედა მახარემ და. ხელების დაბანა არც გახსენებია, ღიმილით შებრუნდა სახლისაკენ, ხალხს გამოვახედებო. მისი მიტრიალება და თოფის გავარდნა ერთი იყო. ადგილზე გაქვავდა მახარე. ღიმილი შეეყინა სახეზე: ეტყობოდა. ცუდ რაღაცას ანიშნებდა გუმანი. ბოლოს მძიმედ მობრუნდა და ქურდულად გააპარა მზერა სათივისაკენ. უყურებს და თვალს არ უჯერებს: ლევანას თოფი დაუცლია შვლისთვის და ახლა ხანჯალს უსვამს ყელში. მახარეს ცეცხლი მოეკიდა, საჩეხიდანვე უყვირა:

— ეს რა ჩაიდინე, ლევან! — თან სათივისკენ გადაამიჯა

— არაფერი, შველი მოვკალი, — უპასუხა ლევანამ.

—დამეკარგე აქედან! — აკანკალდა მახარე. სათივის ბოძზე მიყუდებულ თოფს მისწვდა, თოვლში მოისროლა, — აქედან დამეკარგე!

გარეთ გამოეფინენ მეზობლებიც, უკვირთ: მახარეს ხმამაღალი სიტყვა არ გაგვიგია, ნეტა რა მოხდა, ასე რა აყვირებსო.

ლევანა წელში გაიმალა, ჩოხის კალთები ამოიკვალთა. გამშრალი მიაჩერდა ძმას:

— რას მერჩი, მახარე?!

— შენი ფეხი აღარა ვნახო აქა!

— ისე მელაპარაკები, ვითომ არ მოგეკლას შველი!..

— შე უღმერთო, შიმშილით სიკვდილს გამოექცა. ეს ამოდენა ზვავი გამოარღვია, ადამიანები გადამარჩინენო, შენ კი ტყვია დაჰკარი?! გაგიხმეს ეგ მარჯვენა!

— შვლის გულისთვის მაგდებ?! — გაოცდა ლევანა. — შენი იყოს, ვინ გართმევს?!

— მაგას ვინ გეუბნება?!

— ეგე, თუ არ მეუბნები?!

შველი თოვლზე გდია, ფერდები ჯერ კიდევ უფეთქავს, ფიფქები ადნება გაყინულ თვალებში.

— ცოტა რომ გაგიჭირდეს, ალბათ კაცსაც არ დაინდობ! — უარესად გაჯავრდა მახარე. — დღეიდან ხელი ამილია შენს ძმობაზე! მოგშივა — პურს არ მოგაწვდი. მოგწყურდება და — წყალსა! არც შენი ხელის გამოწოდება მინდა, დღეიდან მკვდარი ხარ ჩემთვის!..

ლევანამ ხანჯალი ქარქაშში ჩააგო, თოფი აიღო და თავდახრილი წავიდა.

— მოტრიალდი! — დაუძახა მახარემ, — შველი დაგავიწყდა!

ლევანამ მართლაც წაიღო შველი, მაგრამ შინ არ მიუტანია. რა უყო — არავინ იცის...

მახარემ დაიქადნა და აასრულა კიდეც: მთელი სოფელი ევედრებოდა, აპატიეო, მაგრამ უკან ვერ დაახევინეს, — ისე ჩავიდა სამარეში, ღვინომაც ვერ მოაკითხვინა ძმა... ასე იყო.

— ასე იყო, შვილო, — გაიმეორა ბებიამ, — ნოდარა კი... ეჰ!..

— ჰო, ნოდარა კი... — ამოიოხრა დედამ.

წამოვდექი:

— გავალ, შეშას შემოვიტან.

გარეთ ისევ ბარდნიდა, მობუზული ბეღურებიც ისევ დაყივყივებდნენ აივანზე. ნოდარას სახლისკენ გავიხედე და მერე მარანში შევედი, ქათმებისათვის საკენკი უნდა მომეპარა.

# ახალი წიგნები



ახლახან წიგნის თაროზე გამოჩნდა ცნობილი საბავშვო მწერლის როდიონ ქორქიას მოთხრობების კრებული „კარგი ამხანაგი“. ეს წიგნი მწერალმა დიდ ბელადზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე დაწერა. ყველა მოთხრობას საფუძვლად უდევს საყვარელი ბელადის ცხოვრების ნამდვილი ამბავი. ეს პატარა წიგნი თქვენთვის ერთხელ კიდევ ნათელს გახდის თუ როგორ ზრუნავდა ვლადიმერ ილიას ძე ბავშვებზე, მშრომელებზე, ჯარისკაცებზე, ეხმარებოდა განსაცდელში მყოფ ამხანაგებს, უყვარდა უბრალოება, თავმდაბლობა, წესრიგი, იყო ყურადღებიანი, გულისხმიერი, გაჭირვებულთა ქომაგი, მიილტვოდა თავისუფლების გამარჯვებისაკენ. განსაკუთრებით ნაზი და საოცარი გრძნობა აკავშირებდა დიდ ბელადს დედასთან.

---

— „საუბარი ახალგაზრდებთან“.

მაქსიმ გორკის ეს კრებული პირველად ითარგმნა ქართულად. ეს წიგნი თქვენთვის იმით არის საინტერესო, რომ თავს უყრის იმ წერილებს, რომელსაც დიდი მწერალი ახალგაზრდობას სწერდა.

მაქსიმ გორკი მოზარდი თაობის მეგობარი იყო. ახალგაზრდებიც ხშირად მიმართავდნენ ხოლმე მას ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად და რჩევა-დარიგების მისაღებად.



კრებულში ბევრი საინტერესო წერილია: „როგორ ვსწავლობდი“, „როგორ ვსწავლობდი წერას“, „ცხოვრების ზღაპარი“, „გორკის სახელობის კურიაჟის კოლონიის აღსაზრდელებს“ და სხვა.. წაიკითხეთ ეს წიგნი და გაიგებთ, რაზე სწერდა და როგორ ესაუბრებოდა დიდი მწერალი ახალგაზრდობას.

---

„ცისფერი ყურეს“ ავტორმა გიორგი სანადირაძემ ბავშვობა ზღვაზე გაატარა. ავტორი მისთვის კარგად ნაცნობ და ახლობელ სამყაროს აგვიწერს. ეს მოთხრობა პირველად ჟურნალ „პიონერში“ დაიბეჭდა, ახლა კი „ნაკადულმა“ ცალკე წიგნად გამოსცა.

ზღვისპირა ქალაქში, მეთევზეთა დაბაში ცხოვრობენ ბავშვები. როგორც ყველა ბავშვი, ისინიც სწავლობენ, ერთმანეთთან მეგობრობენ და ზოგჯერ წაკინკლავდებიან კიდეც. თავისუფალ დროს არდადეგებზე ბევრს ცელქობენ და თამაშობენ.

მეთევზეთა დაბის ორი სხვადასხვა ქუჩის ბიჭები „ომობანას“ სათამაშოდ ორ „მტრულ“ ბანაკად გაიყვნენ.

ამ დროს მოუსწრო მათ ნამდვილმა ომმა. რამდენიმე თვის განმავლობაში ბავშვები დარწმუნდნენ, რომ ნამდვილი ომი სულაც არ ჰგავს „ომობანას“



# ჭადრაკი

## „უკვდავი“ პარტია

გასული საუკუნის შუა წლებში გამოქვეყნდა იმ დროს კარგად ცნობილი ავსტრიელი საჭადრაკო კომპოზიტორის კონრად ბაიერის ამოცანა. ამ ამოცანამ „უკვდავის“ სახელი დაიმკვიდრა. იმისათვის, რომ შავების მეფე მახეში მოაქციონ, ამოხსნის მსვლელობაში თეთრები ყველა ფიგურას სწირავენ და ერთადერთი დარჩენილი პაიკით მეფეს აშამათებენ.

### თეთრები იწყებენ და მეცხრე სვლაზე აშამათებენ შავების მეფეს





### აი ეს პარტიაც

1. ეb7! ლ : b7 2. კ : g6+მფ : g6 3. ლg8+მფ : f5 4. ლg4+მფe5
5. ლh5+ეf5+ 6. f4+კ : f4 7. ლ : e2+კ : e2 8. ეe4+de 9. d4×.



რუნდა და დედას უთხრა, შარვალი გამომეხაო. დედამ სხვა ფერი ფერი გამონახა და თავისი ძველი. წითელი პალტოს ნაჭრით დაუკერა. მაშ რა ექნა!

ჯეკი ბურთს კედელზე ახტუნავებდა და თან ფიქრობდა, იქნებ ოქტომბერში მართლაც დავემშვიდობო ამ წითელსაკერებლიან შარვალს, არც ისე შეუმჩნეველია, ქვეყანა ხედავსო.

ჯეკი ზოგიერთს სულაც არაფრად ჩააგდებდა, მაგრამ აი, პენი დეილისა კი ერიდება, ოქროსფერთმიანი გოგონასი, გაბერილების სკოლაში რომ დადის, გორაკზე.

ჯეკს ქაღალდის ისარი მოხვდა. მოიხედა — ჯენერი წამოსდგომოდა თავს.

— ჯეკ, შეჯიბრებაზე მოდიხარ? — ჰკითხა მან.

ჯეკმა ქაღალდის ისარი უკანვე ესროლა და ბურთი ისევ კედელს დაუმიზნა.

— არა, ჯენერ, არ მოვდივარ...

— პრიზები იქნება. პირველ ადგილზე შვიდი შილინგი და ექვსი პენსი, მეორე ადგილზე კი —ნახევარი კრონი.

ჯეკმა ბურთით თამაში განაგრძო, მაგრამ მოწოლილ ფიქრებს ვერ იშორებდა.

— მთელი ქალაქის ბიჭები იქ იქნებიან, — არ ეშვებოდა ჯენერი.

ჯეკმა იფიქრა, იქნებ პრიზი მო-

დ. ბეიფსონი

მხატვარი
დიმიტრი
ერისთავი

# წითელი საკერებელი

— ნეტავ მეღირსება ახალი შარვალი? — ჰკითხა ჯეკმა დედას. ჯეკის დედა ქმრის პერანგს აუთოვებდა. თავი არ აუწევია. უთოს დაატანა ძალა. შვილის შეკითხვამ გული დაუმძიმა.

— აი, იქნებ ოქტომბერში მამამ უფრო მეტი იმუშაოს და...

ჯეკი ქუჩაში გამოვარდა და გამწარებულმა აგურის კედელს ბურთი მიარტყა. ოქტომბრამდე დიდი დრო იყო. ამ საკერებლიან შარვალს მანამდე ვერ მოიშორებდა.

ჯეკის შარვალს საკერებელი საჯდომთან ჰქონდა დადებული. დიდი არ იყო, მაგრამ სავალალო ის იყო, რომ წითელი ფერისა გახლდათ. ამას წინათ ჯეკი შინ დაბ-

ვიგო და ახალი შარვალი ვიყიდოო.

— ფული უნდა გადაიხადო, არა?

— ბევრი არაფერი, სულ ექვსი პენსი.

—ექვსი პენსი? ფუნტიც შეიძლებოდა დაეწესებინათ.

— მაგ ბურთში სამ პენსს მოგცემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამი რას მეყოფა?

— სამსაც გამადიდებელში მოგცემ.

ჯეკი დაფიქრდა.

— ნამდვილი გამყვლეფი ხარ! — უთხრა ამხანაგს და სპორტულ შეჯიბრებაზე გასწიეს.

ჯენერს ბურთისაგან ჯიბე გამობერილი ჰქონდა. ხელში კი გამადიდებელი შუშა უბრწყინავდა. ჯეკს ექვსპენსიანი გაოფლიანებულ მუჭაში ჩაებღუჯა. ჯენერს თეთრი სპორტული ფეხსაცმელი და სუფთა სავარჯიშო შარვალი ეცვა, ჯეკს კი — რეზინის სანდლები და ყავისფერი, წითელსაკერებლიანი შარვალი.

ჯეკმა პირველად ნახა ამდენი ხალხი სპორტულ თამაშობაზე. გრძნობდა ყველაზე საცოდავი თვითონ იყო.

ადრეც უნდოდა შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება, გამარჯვების სურვილი ჰქონდა, მაგრამ, რადგან წითელსაკერებლიანი შარვალი ეცვა, უკან დგებოდა. ხალხის დასაცინი არ გავხდეო. ახლა კი ამ დაკერებული შარვლის მოსაშორებლად გადაწყვიტა სირბილში მიეღო მონაწილეობა.

— პირველი წრე! — დაიძახა საყვირში კაცმა! — ბიჭები სამოცდაათ იარდიან ხაზზე, წინაღობათა გარეშე!

ჯეკმა ექვსი პენსი გადაიხადა და ჯენერთან ერთად ბიჭებს გვერდით ამოუდგა. დაიწყო შეჯიბრი. ჯეკი მთელი ძალღონით მირბოდა. ქანცი გამოელია, მაგრამ ჯენერს მაინც გაუსწრო და ნახევარი, კრონი აკანკალებული ხელით აიღო.

— მეორე წრე! — ისევ დაიყვირა მსუქანმა კაცმა. ახლა სხვა თამაში იწყებოდა: მონაწილენი წყვილ-წყვილად დადგნენ. ბიჭებს ძაფი მისცეს, გოგონებს კი — ნემსი. თვითეულ წყვილს ფინიშთან ნემსში ძაფი უნდა გაეყარა.

გოგონები ჯეკს მანამდე ყურადღებას არ აქცევდნენ, ახლა კი გარს შემოეხვივნენ და ეხვეწებოდნენ, შენი მეწყვილე ვიქნებითო.

პენი დეილი განზე იდგა, თეთრი ბლუზა და ნაკეცი ქვედატანი ეცვა. მზით გამთბარი ოქროსფერი თმა ბაცი წითელი ბაფთით შეეკრა კეფაზე. ჯეკი ისე იყო დაღლილი, სულს ძლივს ითქვამდა. მაგრამ მაინც პენისთან თამაშობაზე ოცნებობდა. ბედმა უმუხთლა. ჰელენ ფირმანმა უტიფრად ჩასჭიდა ხელი და სასტარტო ხაზისაკენ წაიყვანა. პენი კი ჯენერს დაუწყვილდა.

ჯეკმა საკერებელზე ხელი მიიფარა, გაუხარდა, რომ ჯერ არავინ ჩურჩულებდა, არავინ სჭორავდა დაკერებული შარვალი რომ ეცვა. ხელისგულზე საკერებლის ამოღლეული ძაფის წვერები იგრძნო. ბიჭმა კბილები გააკრაჭუნა, ეს წრეც რომ მოიგოს, უცებ ათი შილინგის პატრონი გახდება.

უტიფრად მომზირალი ჰელენი სარბენი ბილიკის ბოლოში გავიდა და ნემსი მოიმარჯვა. ჯეკმაც ძაფის ბოლო ნერწყვით დაასველა და საპტვენის ხმაზე ქარივით გაფრინდა. პირველი მივიდა თავის წყვილთან. ჰელენს ნემსი უმოძრაოდ ეჭირა, მაგრამ ხითხითით ჯეკს აღიზიანებდა, ხელი უკანკალებდა, ძაფი ყუნწში ვერ გაუყარა.

— რაღა ამისთანა მოუხერხებელს გადავეკიდე! — დაისისინა ჰელენმა. მეორე წყვილმა სწრაფად გაუყარა ნემსში ძაფი და წაბლისფერთმიანი გოგონა ფინიშთან პირველი მივიდა. ჰელენი ყველას ჩამორჩა. იგი ბუზღუნით მოშორდა იქაურობას. არც ჯეკისათვის უთქვამს რამე. გოგონებმა ჯეკს სიცილი დააყარეს, ბიჭმა ჯიბეში ხელები ჩაიწყო, ფეხზე ძლივს იდგა.

ბოლო წრეს „ურიკა" ერქვა. ეს პრიზის მოგების უკანასკნელი შესაძლებლობა იყო. არცერთმა გოგონამ აღარ მოინდომა ჯეკთან დაწყვილება. ჰელენი ჯენერს დაუწყვილდა, ის წინა თამაშზე კარგად დაეხმარა თავის მეწყვილე გოგონას მეორე უგილის მოპოვებაში. ჯეკმა მიმოიხედა. ცოტაც და გული წაუვიდოდა. „ურიკაში" ბიჭმა ხელებით უნდა იაროს, მისი ფეხები გოგოს უკავია ხელში და სიარულში ეხმარება. ჯეკთან არავინ აპირებდა დაწყვილებას, არავინ აპირებდა დახმარებას ახალი შარვლის შეძენაში.

სწორედ ამ მდგომარეობაში დაინახა იგი პენიმ.

— გინდა ქალს გასაჭირში დაეხმარო? — ჰკითხა მან მორცხვად.

ჯეკს წამით სახე გაუბრწყინდა და გოგონას უთხრა, შენ ვისაც ისურვებ, იმას დავუწყვილდებიო.

— მე და შენ დავწყვილდებით. მე ასე მსურს!

გახარებულ ჯეკს წითელი საკერებელი გაახსენდა. წარმოიდგინა: პენის ჯეკის ფეხები უჭირავს ხელში, დაკერებულ შარვალს აკვირდება და... შეკრთა ბიჭი: შევძულდებიო!

— არ შემიძლია, დოყლაპია ვარ სპორტში. — მიუგო სასოწარკვეთილმა ჯეკმა.

— ეს ჩემი ლალატია, ჯეკ! შეხე, როგორ ემზადებიან სტარტისათვის!

ბურანში გახვეული ჯეკი პენისთან ერთად სასტარტო ხაზისაკენ გაეშურა.

— მე არასოდეს შეჯიბრში არ გამიმარჯვია — მაინც უარობდა ჯეკი...

ამასობაში მსუქანი კაცი მიუახლოვდა ბავშვებს. მან ჯეკს ფეხები აუწია და მოხერხებულად დააჭერინა პენის ხელში. მერე კი ისევ დაიღრიალა:

— ყურადღება! სირბილით!

ჯეკს დაავიწყდა რატომ მოვიდა შეჯიბრზე. აღარც დედა ახსოვდა, არც ჯენერი და ჰელენ ფირმანი, არც შეჯიბრების შვიდშილინგიანი პრიზი. მხოლოდ იმას დარდობდა, რომ პენი შარვალზე საკერებელს შეამჩნევდა.

ჯეკი ჩქარობდა. თბილი ტორფით მოფენილ გზაზე ხელისგულებით მიიწევდა წინ. ერთი სული ჰქონდა, როგორმე ჩქარა გასულიყო ბოლოში. რაც უფრო მალე მივიდოდა, მით უფრო ნაკლები დრო ექნებოდა პენის წითელი საკერებლის დასანახავად. გოგონას მაგრად ჩაეჭიდა ჯეკისათვის ხელები და სირბილში ეხმარებოდა. ბიჭს ბოლმისაგან თვალებზე ბინდი გადაეფარა. ძლივს დაინახა, ყველასათვის გაესწრო. სუნთქვა ეკვროდა. თავში სისხლი აწვებოდა, წყალში მოხტუნავე ორაგულივით მიიწევდა ფინიშისაკენ.

აჰა, ბილიკიც ჩათავდა!

— გავიმარჯვეთ, ჯეკ, ჩვენ გავიმარჯვეთ! — დაიძახა გახარებულმა პენიმ, ჩაჯდა ტორფზე და თავისუფლად ამოისუნთქა.

სად იყო სიძულვილი! გოგონა აღტაცებით შეჰყურებდა ჯეკს.

**ინგლისურიდან თარგმნა**
**ნუგზარ რუხაძემ.**

## ათასად კაცი დაფასდა,
## ათიათასად — ზრდილობა...



სანამ სუფრასთან დაჯდებოდე, ხელ-პირი დაიბანე და თმა დაივარცხნე. მაგიდასთან სწორად იჯექი, იდაყვებით ნუ დაეყრდნობი, ფეხები იატაკზე უნდა გედგას. ნუ წრიალებ, ნუ ფუსფუსებ, ნუ ყვირი. ხელსახოცი კალთაზე დაიდე. დანა-ჩანგალი სათამაშო არ არის. დანა დასაჭრელად იხმარე, ჩანგალი — საჭმლის ასაღებად. როდესაც რამეს გთავაზობენ, თქვი: „გმადლობთ". საჭმელი პირმოკუმულმა დაღეჭე. არასოდეს არ ილაპარაკო საჭმლით სავსე პირით. ჭამის დამთავრებისას დანა-ჩანგალი თეფშზე დაალაგე. ხელსახოცი თეფშის გვერდით დადე. თუ სუფრიდან ადგომა გინდა, ნება ითხოვე.



სტუმარს კარი გაუღე და წინ გაატარე. თუ ამხანაგს დაპატიჟებ წვეულებაზე, ეცადე კარგი დრო გაატარებინო. თითოეულ სტუმარს მიესალმე სიტყვებით: „გამარჯობათ" და „მობრძანდით".





უჩვენე სტუმარს, სად დაჰკიდოს პალტო და ქუდი. თუ გეწვია მეგობარი, რომელიც დანარჩენ სტუმრებს არ იცნობს, თქვი: „მე მინდა გაგაცნოთ ჩემი მეგობარი" და დაასახელე მეგობრის გვარი და სახელი. ეცადე მხიარულებაში ყველა სტუმარი ჩააბა. სტუმარს წასვლისას მადლობა გადაუხადე. ბიჭი უნდა დაეხმაროს გოგონას პალტოს ჩაცმაში.

### ყორნის კეთილშობილება

ეს ამბავი აფრიკაში მოხდა. ერთხელ ერთ ოჯახს ლეკვი დაეკარგა. ბევრი ეძებეს, მაგრამ ამაოდ, — მის კვალს ვერსად მიაგნეს. ამ ოჯახს კარგა ხნის მოშინაურებული ყორანი ჰყავდა. და აი, როგორღაც შეამჩნიეს, რომ იმ დღეებში ყორანი თავის საჭმელს ნაწილ-ნაწილ სადღაც ეზიდებოდა. ოჯახის წევრები დაინტერესდნენ და, როცა ყორანი, რომელსაც ნისკარტით ხორცის ნაჭერი ეჭირა, კვლავ სადღაც გაფრინდა, უკან გაჰყვნენ. აღმოჩნდა, რომ ყორანს თავისი საჭმელი შემთხვევით ხაფანგში გაბმული ლეკვისთვის უზიდნია.

### ხარი ოპერის სცენაზე

კარაკასის თეატრის სცენაზე ბიზეს ოპერა „კარმენი" თავდაპირველად ზუსტად ისე იდგმებოდა, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნების თეატრებში. მაგრამ აი, უკანასკნელ მოქმედებაში, ვენესუელმა მაყურებლებმა გაოცებისაგან თვალები დააჭყიტეს. არიის ხმაზე: „ტორეადორო, თამამად შეებრძოლე..." — ესპანელი ტორეადორი კურო ხიროსინი მართლაც თამამად შეებრძოლა სცენაზე ნამდვილ ხარს, და კორიდის ხელოვნების ყველა წესის დაცვით, საკმაოდ სწრაფად განგმირა იგი. ამ ამბავს დიდი აურზაური მოჰყვა, როგორც შეშინებულ მაყურებელთა შორის, ისე ოპე-



ტელეფონით მოკლედ და საქმიანად ილაპარაკე.



ნუ მიაშტერდები და ნუ მიათითებ ადამიანზე, — ამით მასში უსიამოვნო გრძნობას გამოიწვევ.

რის შემდგომი ბედით შეშფოთებულ მუსიკალურ კრიტიკოსთა შორისაც.

### კატების კუნძული

ინდოეთის ოკეანეში არის ერთი პაწაწინა კუნძული ფრეგატი, რომელსაც შეიძლება „კატების კუნძული" ეწოდოს,



რადგან იქ მხოლოდ და მხოლოდ კატები ცხოვრობენ. ამ კუნძულზე კატები მთელ დღეს სოროებში ატარებენ. დაღამდება თუ არა, გარეთ გამოდიან და თევზის საჭერად ზღვის ნაპირისაკენ მიეშურებიან. თევზის ჭერაში საოცრად დახელოვნებულნი არიან. ზოგჯერ ამ დროს ზღვაში საკმაოდ შორსაც შესცურავენ ხოლმე, ცურვასთან ერთად, ყვინთვაც ემარჯვებათ.

ამას წინათ კუნძული ფრეგატი ერთმა ინგლისელმა მოგზაურმა დაიარა. იგი ამტკიცებს, რომ იმ მცირე ხნის მანძილზე, რაც მან კუნძულზე დაყო, ათიათასამდე კატა ნახა. წარმოიდგინეთ, რა მოსასმენი იქნება ამდენი კატის ერთობლივი კნავილი!..

ვარაუდობენ, რომ ამ კუნძულზე პირველი კატები მრავალი წლის წინ დაღუპული ხომალდიდან გადმოვიდნენ.

### უმართებულო აზრი აფთარზე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აფთარი უმეტესწილად ლეშით იკვებება. თურმე, როგორც გამოირკვა, ეს აზრი უმართებლო ყოფილა.

ინგლისელი ნატურალისტი დოქტორი კრუკი კარგა ხანია აკვირდებოდა აფთრების ცხოვრებას აფრიკის ჩამქრალი ვულკანის — გორონგოროს გიგანტურ კრატერში. ბოლოს იგი დარწმუნდა, რომ აფთარი 100-დან 82-ჯერ თავისავე ნანადირევს ჭამს.

მაგრამ აი, უფრო საკვირველი რამ: დოქტორმა კრუკმა რამდენჯერმე ნახა ლომები იმ დროს, როცა ისინი აფთრის ნასუფრალს შეექცეოდნენ. ამის შემდეგ ნეტავი რა აქვთ ლომებს საამაყო?

### ცეცხლის წაკიდებით სახელი მოიხვეჭა

ნიუ-იორკის ერთ-ერთი სასტუმროს მოსამსახურე ედვარდ ფარლეი თავისებური სახის შესანიშნავი ცეცხლის წამკიდებელი გახლდათ. ფარლეიმ, სახელი, რომ გაეთქვა, ასამდე სახლი, მათ შორის რამდენიმე უზარმაზარი შენობა ცეცხლის ალში გახვია. იგი ცდილობდა, ხანძრის ჩაქრობითა და ცეცხლწაკიდებულ სახლებში მყოფთა გადარჩენით გმირის სახელი მოეპოვებინა. ეს მიზანი ფარლეიმ სავსებით განახორციელა: როგორც ნებაყოფლობითი რაზმის გამოჩენილი წევრი, იგი 27 წლის მანძილზე საყოველთაო დიდებით იყო შემკული. დიდი ხანძრის ადგილზე ფარლეი პირველი გამოჩნდებოდა ხოლმე და სიმამაცის სასწაულებს ახდენდა. თავისი შეუპოვრობითა და სიმარდით რამდენჯერ განუცვიფრებია მეხანძრენი თუ სახანძრო რაზმების უფროსები... გაზეთები დაწვრილებით წერდნენ, როგორ გადაარჩინა ამ გმირმა-მოხალისემ ხანძარში მოხვედრილი ადამიანები. თან რამდენი ჭრილობა და დამწვრობა მიიღო ცეცხლის ჩაქრობის დროს...

ამას წინათ ფარლეი ხელისუფალთა წინაშე წარსდგა და თავისი დანაშაულობები აღიარა. თან იქვე განაცხადა: „მინდოდა გმირი გავმხდარიყავი და უფრო ბევრჯერ ჩავიდინე გმირობა, ვიდრე ბევრმა ცნობილმა მხედართმთავარმა".

### ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინათ...

ჯერ კიდევ ოცი საუკუნის წინათ, როცა რომელიმე მსახიობის თამაში არ მოეწონებოდათ, ბერძენი მაყურებლები მას ლელვს, ყურძნის მტევნებს, დამპალ ვაშლსა და ქლიავს ესროდნენ. ძველი ბერძნები როლის უნიჭო შემსრულებელს აიძულებდნენ, სპექტაკლის მსვლელობის დროსვე მოეხადა ნიღაბი და სცენიდან ჩამოსულიყო.

წარმოდგენებისა და სხვადასხვა სანახაობის დროს ტაში და სტვენა პირველად რომში შემოვიდა მოდაში. ეს ორი ათასი წლის წინათ, ავგუსტის მეფობის დროს მოხდა.







საზოგადოებრივ ტრანსპორტში ჩაჯდომისას დაუცადე შენს რიგს.

ნუ დაჯდები, თუ უფროსები ან ქალები ფეხზე დგანან. თუ არ არის მათთვის ადგილი, ადექი და თქვი: „დაბრძანდით, გეთაყვათ".

ტრანსპორტში ყოფნისას, როცა ახველებ, ამთქნარებ, ან ცხვირს აცემინებ, პირზე ხელი მიიფარე. ავტობუსში, ტროლეიბუსში, ტრამვაიში, მატარებელში და საერთოდ საზოგადოებრივ ადგილებში ხმამაღლა ნუ ილაპარაკებ.

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე.



წყლის ონკანზე ჩამოჰკიდეთ მოკაუჭებული მავთული. დიდი, ყურებიანი ქვაბის წყლით ავსებისას შეგიძლიათ ჭურჭელს ცალი ყური კავზე ჩამოუდოთ და ხელში დაჭერა აღარ დაგჭირდებათ.

კალმისტარზე ასეთნაირად მიმაგრებული ასანთის ღერი საშუალებას მოგცემთ ხაზის გავლებისას ქაღალდი მელნით აღარ დაიღლაბნოს.

საჭმლის შესანახავ განჯინაში ხშირად „შეიპარებიან“ ხოლმე ჭიანჭველები, თანაც რა თავდახურულიც არ უნდა იყოს ჭურჭელი, მაინც მოახერხებენ შიგ ჩაძრომას. მათს დასაფრთხობად განჯინაში საკმარისია ლიმონის ნაჭერი დადოთ — ჭიანჭველები ვერ იტანენ ლიმონის სუნს.

ძელაკს პატარა ამონაჭერი გაუკეთეთ. ამ უბრალო მოწყობილობის გამოყენებით თუ ჩააჭედებთ ლურსმანს ფიცარში, ანდა ლითონის ნაჭერში, ისე გააკეთებთ საჭირო მონიშვნებს, რომ თითების დატეტკვის შიში აღარ გექნებათ.

ქათმებმა მათთვის წყლის სასმელად დადგმული ქილა რომ არ გადააბრუნონ, იგი კონსერვის კოლოფში ჩადეთ, კოლოფს მავთული შემოახვიეთ, მავთულის თავები კი მიწაში ჩაამაგრეთ.

საიდუმლო ამბავი არ არის, რომ ხის გადანაჭერი კუნძის ამოძირკვა ძნელი საქმეა. ამიტომ სჯობს კუნძი გამოიყენოთ. მაგალითად, შეიძლება ზედ ყვავილებიანი ან ბალახჩარგული (კარგი იქნება გვიმრა) ქოთანი დადგათ, ანდა მასზე მრგვალი მაგიდა მოაწყოთ.

ხის ზედაპირის საბოლოო დამუშავებისას, შიგ ჩაჭედილმა ლურსმანმა ხელი რომ არ შეგიშალოთ, ლურსმანს თავი დაუჭეჭყეთ, შემდეგ მეორე ლურსმანი მოიშველიეთ, ჩაქუჩი დასცხეთ და თავი ფიცარში ჩაუმალეთ.















## სარჩევი


გ. გვენეტაძე — ქართველი ხალხის დიდი მეგობარი . . . 1
გვ.
მ. გორკი — ცხოვრების ზღაპარი . . 4
ლ. გოთუა — პალიასტომის სიზმარ-ცხადი (ნაწყვეტი რომანიდან „მითრიდატე“) . . . . . 6
დ. გოზალიშვილი — დაუვიწყარი დღეები (ნარკვევი.) . . 10
ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო... (დ. შენგელაია, კ. ერისთავი) . 13
ნ. კილასონია — გაზაფხულის ფერები (ლექსი) . . . . 14
გ. მზარელუა — ოქროს ვერძის სამშობლოში (ნარკვევი) . . . . . 16
კ. მაჩაბელი — რენესანსის ქანდაკება (წერილი) . . 19
მსოფლიოს პოეტები დედას (ლექსები. თარგმნა მ. ფოცხიშვილმა) . 20
ოქროს საწმისი . 23
კ. კობერიძე — თოვლიანი ზამთარი (მოთხრობა) . . . 24
ახალი წიგნები . 27
ჭადრაკი . . . . 28
ჯადოსნური სარკე . . . . 30
გამოგადგება . 32
თავშესაქცევი გარეკანის მესამე . . გვ.


გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის ზ. მეძმარიაშვილს.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნისა და განყოფილებების—5-07-43

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

# თავშესაქცევი

## ხელის მოუცილებლად



სცადეთ ეს ფიგურა ისე დახაზოთ, რომ ფანქარი ქაღალდს არ მოაცილოთ და ერთ ხაზზე ორჯერ არ გაატაროთ.

## დაბნეული მხატვარი

მხატვარი დაბნეული კაცი იყო და დეტალები ერთმანეთში აურია. აბა, თქვენ თუ დაუბრუნებთ აქ გამოხატულ ყველა საგანს თავის ნაწილს?



## თავსატეხი




საწყისი წერტილია ქვედა კუთხე (კვადრატი 3). საჭიროა მიაღწიოთ მარცხენა ქვედა კუთხეს (კვადრატი 1), ოღონდ ისეთი გზა უნდა აირჩიოთ, რომ დასახულ კვადრატთან მისვლისას, გავლილი კვადრატების ჯამი 45-ს უდრიდეს.



## ლაბირინთი

ლოკოკინას სურს გაიაროს ქვის ეს ლაბირინთი და სოკოებამდე მიაღწიოს. მიეხმარეთ მას. ოღონდ იცოდეთ, ქვები მზისაგან გახურებულია და ლოკოკინა ზედ ვერ გადავა.

პასუხები № 2-ში მოთავსებულ თავშესაქცევზე.

რებუსი ციფრებით

$$\begin{array}{r} 27 + 8 = 35 \\ - \quad - \quad - \\ 10 + 5 = 15 \\ \hline 17 + 3 = 20 \end{array}$$

ერთიდან თერთმეტამდე




ოთხი კუნძული.





მიქელანჯელო. მოსე.



დონატელო. გატამელატა.



მიქელანჯელო. დაკრუნჩხული ბიჭი.



მიქელანჯელო. პიეტა.